პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 290 (5391) | ოთხშაბათი, 21 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

გადამწყვეტი პერიოდი მოსახლეობის აღწერისათვის მზადებაში (მოწინავე)
ვ. პ. ჩკალოვის ოჯახის წევრთა და მახლობელთა წერილი ამხანაგ **სტალინისადმი** (1-ლი გვ.)
პროფ. **არნ. ჩიქობავა** — ქართული ენის სწავლებისათვის არაქართულ სკოლებში (მე-2 გვ.)
გ. მერკვილაძე — გიგანტი აფხაზეთის მთებში (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
დოც. **გ. თვალთვაძე** — პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის საკითხისათვის. (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
მდგომარეობის გაუარესება სუდეტის ოლქში (1-ლი გვ.)
აჯანყება მეამბოხეთა ზურგში (1-ლი გვ.)
ბონეს დეკლარაცია დეპუტატთა პალატაში (მე-4 გვ.)
სუეცის არხი (ცნობა) — (მე-4 გვ.)
საფრანგეთის პრესა სარდინიაში მუსოლინის გამოსვლის შესახებ. (მე-4 გვ.).

გადამწყვეტი პერიოდი მოსახლეობის აღწერისათვის მზადებაში

1939 წლის იანვარში ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერა, რომელსაც უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი წინსვლისა და განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ზრდისა და აღმავლობისათვის.

მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერამ უნდა ასახოს ის რადიკალური ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში. სოციალიზმი დამკვიდრდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, კულტურის დარგში, ყოფაცხოვრებაში; ჩვენს ქვეყანაში მშრომელი ადამიანი გახდა მდგომარეობის ნამდვილი ბატონ-პატრონი, შეიცვალა მისი მორალურ - პოლიტიკური და კულტურული სახე; ის ცხოვრობს ახლებურად, შეძლებულად, მხიარულად—აი რა უნდა მოგვცეს და ნათლად დაგვანახოს მოსახლეობის აღწერამ, რომლის წარმატებით მომზადებასა და ჩატარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პარტია და ხელისუფლება.

აღწერის შედეგებმა უნდა ასახოს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტი, სოციალიზმის პირობებში ხალხის ბედნიერი და სამური ცხოვრების ფაქტი და ის უდიდესი უპირატესობა, რომელიც აქვს მეურნეობის სოციალისტურ სისტემას კაპიტალისტური მონობის სისტემასთან და მის ყველაზე უხეშ და ყველაზე მახინჯ სახესთან — ფაშიზმთან შედარებით, სადაც მილიონობით მშრომელნი — მუშები, გლეხები, ინტელიგენტები შიმშილობენ, სიღატაკით იტანჯებიან, უმუშევრად დაეხეტებიან და სასტიკ დევნას, ჩაგვრას, დაცინვა-აბუჩად აგდებასა და შევიწროვებას განიცდიან.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ორი სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოში ეკონომიურად ერთერთ ყველაზე ძლიერ ქვეყნად, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე ძირფესვიანად გაუმჯობესდა ხალხის ქონებრივი მდგომარეობა, შემოსავლიანობა, ყოფაცხოვრება. გაქრა, წარსულს ჩაბარდა და არასდროს აღარ დაბრუნდება წყეული წარსული, მშრომელთა სიღარიბე და შიმშილი.

ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ გაზარდა მშობიარობა, შეამცირა სიკვდილიანობა. ამის შედეგად განუხრელად იზრდება ქვეყნის მოსახლეობაც. ამხანაგმა სტალინმა 1935 წლის 1 დეკემბერს შემდგარ მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „ჩვენში ახლა ყველანი ამბობენ — მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა, ცხოვრება გაუკეთესდა, უფრო სამური გახდა. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ ამას ის მოსდევს, რომ მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე ძველად მრავლდებოდა. სიკვდილიანობამ იკლო. დაბადებულთა რიცხვმა იმატა და მოსახლეობის წმინდა მატება გაცილებით უფრო დიდი გამოდის. ეს, რა თქმა უნდა, კარგია და ჩვენ ამას მივესალმებით. ამჟამად ჩვენში მოსახლეობის წმინდა მატება ყოველ წელს დაახლოებით სამ მილიონ სულს უდრის—ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს ჩვენ მთელი ფინეთის ოდენა ხალხი გვემატება“.

მოსახლეობის რიცხვის უდიდესი ზრდის გარდა, მოსახლეობის აღწერა გვიჩვენებს აგრეთვე მოსახლეობის შიგნით მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებებსაც, პროფესიების რიცხვის ზრდასა და გამრავალფეროვნებას, განათლების გავრცელებას და ზრდას ხალხში, რელიგიასთან დამოკიდებულებას და სხვ.

სოციალიზმი გეგმიანობის გარეშე შეუძლებელია. გეგმიანობაში კი მთავარია აღრიცხვა, სტატისტიკა. ამიტომ მოსახლეობის მომავალ უახლოეს აღწერას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების შედგენისათვის. აღმწერთა მთელი პერსონალი, თვითეული აღმწერი და ინსტრუქტორ - კონტროლიორი, თვითეული საბჭოთა მოქალაქე ღრმად უნდა განიმსჭვალოს მოსახლეობის აღწერის ამ მნიშვნელობით, მთელი შეგნებით უნდა შეხვდეს და შეუწყოს ხელი მის წარმატებით ჩატარებას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ზოგიერთ ხელმძღვანელებს დღემდე ვერ შეუგნიათ მოსახლეობის აღწერის ეს უდიდესი მნიშვნელობა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 26 ივლისის დადგენილების აზრი და იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობის აღწერისათვის მზადებას ყოველმხრივ ხელი შეუწყონ, ფაქტიურად ხელს უშლიან. მაგალითად, თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მშველიძემ და ცეკავშირის ღვინის წარმოების დირექტორმა ამხ. ნადარეიშვილმა ინსტრუქტაჟის მისაღებად არ გაანთავისუფლეს თავიანთი თანამშრომლები, რომლებიც აღმწერლებად არიან გამოყოფილი და დამტკიცებული.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ და ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან მოსახლეობის აღწერისათვის მზადებასთან დაკავშირებით მასობრივი მუშაობის გაშლას. მაგალითად, სოფ. სადახლოში (ბორჩალოს რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მასწავლებლები და კომკავშირელები არ იცნობენ აღწერის მნიშვნელობას და ამოცანებს. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. მანავისა და პატარძეულის სასოფლო საბჭოებში (საგარეჯოს რაიონი). აღწერის დაწყებამდე ფართოდ უნდა გავშალოთ ნამდვილი ცოცხალი, ბოლშევიკური შინაარსით გაჟღენთილი აგიტაცია; აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების პოპულარიზაციის მიზნით უნდა გამოვიყენოთ მასობრივი მუშაობის ყველა ფორმა; აღწერის საკითხებზე უნდა მოეწყოს საუბრები, ახსნა-განმარტება, ლექციები და სხვ.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის აღწერისათვის მზადებას და აღმწერთა კადრების მომზადების დაჩქარებას ბევრად შეუშალა ხელი საქ. განსახკომის უყურადღებობამ. ინსტრუქტორ - კონტროლიორებად გამოყოფილი და დამტკიცებული მასწავლებლები, რომლებსაც მომზადება 8 დეკემბრამდე უნდა გაევლოთ, ახლა აღმწერლებთან ერთად გადიან ინსტრუქტაჟს, რადგან განათლების განყოფილებებმა ისინი დროზე არ გაანთავისუფლეს.

აღწერის მზადებისათვის მთავარია აღმწერთა კადრების მომზადება. აღწერის ხარისხი ამ კადრებზეა დამოკიდებული. ამიტომ აღმწერთა მომზადებას, რაც საქართველოში 8 დეკემბერს დაიწყო და აუცილებლად 25 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს, უნდა მოვეკიდოთ მთელი სერიოზულობით, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დრო და მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა აღმწერმა სანიმუშოდ იცოდეს აღწერის ჩატარებისა და სააღწერო ფურცლის შევსების წესები.

მოსახლეობის აღწერის წარმატებით ჩატარებას სწყვეტს აღწერისათვის მზადება. დადგა აღწერისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი. სახელმწიფო მნიშვნელობის ეს უდიდესი საქმე ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვს სერიოზულ მუშაობას და ამ კამპანიის მზადებისათვის ბოლშევიკური ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევას.

ყოველმხრივ სანიმუშოდ და მომზადებულად შევხვდეთ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერას!

ჯილდოები უცხოელთა გემების ვადამდე დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის

საბჭოთა სავაჭრო საზღვაო ნავსადგურების სტახანოველებმა და დამკვრელებმა გემების დგომის ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შემცირებას მიაღწიეს. უცხოეთის გემების ვადამდე დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის 1938 წელს მიღებულია დისპაჩის (ჯილდო, რომელსაც გემის მფლობელი იხდის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დროს მოგებული დღეებისათვის) დიდი თანხა.

ლენინგრადის სავაჭრო ნავსადგურმა, რომელმაც წარმატებით შეასრულა ტვირთბრუნვის წლიური გეგმა, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში მომსახურება გაუწია უცხოეთის 108 გემს. ამ რაოდენობიდან 92 გემზე დატვირთვა-გადმოტვირთვის ყველა სამუშაო დამთავრებულ იქნა ვადამდე. ნავსადგურმა მიიღო 67 ათასზე მეტი მანეთი დისპაჩი.

წარმატებით მიმდინარეობდა უცხოეთის გემების დატვირთვა და განტვირთვა ნიკოლაევში. ნავსადგურში მოსული 59 გემიდან 53 გემზე მთელი მუშაობა ვადაზე ადრე დამთავრდა. მოგებულ იქნა 5.497 გემსაათი.

1938 წლის ცხრა თვის განმავლობაში ნოვოროსიისკის სავაჭრო ნავსადგურმა გაატარა უცხოეთის 98 გემი—ერთიორად და უფრო მეტი, ვიდრე გასულ წელს. ვადამდე გაეწია მომსახურება 56 გემს. მოგებულ იქნა 5.972 გემსაათი. დისპაჩის თანხა ერთიორად გაიზარდა. (საკდესი).

წლიური ანგარიშების შედგენა კოლმეურნეობებში

სსრ კავშირის მიწსახკომმა დაადგინა წლიური საანგარიშო კამპანიის წესი და ვადები კოლმეურნეობებისათვის. კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან დაამთავრონ წლიური ანგარიშების შედგენა, ხოლო კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებმა მოახდინონ კოლმეურნეობათა მთელი სამეურნეო მოქმედების სრული დოკუმენტალური რევიზია არა უგვიანეს 1939 წლის 10 იანვრისა. არა უგვიანეს 17 იანვრისა ანგარიში განხილული და დამტკიცებული უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის საერთო კრების მიერ, რომელსაც უნდა დაესწროს მის წევრთა ორი მესამედი მაინც. (საკდესი).

7 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები ჩააბარა ხასანის ტბის რაიონში მომხდარი ბრძოლების მონაწილეებს.
სურათზე: ამხ. მ. ი. კალინინი დაჯილდოებულ მებრძოლთა შორის.

საკდესის ფოტოქრონიკა

მდგომარეობის გაუარესება სუდეტის ოლქში

პრაღა, 19 დეკემბერი (საკდესი). ფაშისტური გერმანიის მიერ სუდეტის ოლქის ხელში ჩაგდებამ ოლქში ეკონომიური მდგომარეობის კატასტროფული გაუარესება და მრეწველობისა და კულტურის დაცემა გამოიწვია. გერმანიის სტატისტიკის ოფიციალური ცნობების თანახმად, უმუშევართა რაოდენობა სუდეტის ოლქში ამჟამად 196.000 კაცს აღწევს. აქედან 71.000 ქალია. მათი რიცხვი ფაქტიურად გაცილებით უფრო მეტია, რადგან ათეულიათასობით სასოფლო-სამეურნეო მუშებს, რომლებიც მემამულეებისა და კულაკების არაადამიანურ ექსპლოატაციას გაურბიან, ათეულათასობით მუშებს, რომლებიც უარს ამბობენ წავიდნენ სამხედრო სიმაგრეების მშენებლობაზე, ფაშისტები პირდაპირ რიცხავენ უმუშევართა სიებიდან. არავითარი პერსპექტივა არ არსებობს და არც არის მოსალოდნელი, რომ ეს ხალხი ჩაბმული იქნება მრეწველობაში.

მაგრამ იმათი მდგომარეობაც კი, ვინც მუშაობს, დღითი-დღე სულ უფროდაუფრო უარესდება. ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე 30-40 პროცენტით გაიზარდა. ზოგიერთი საქონელი სავსებით გაქრა ბაზრიდან. ხელფასი ეცემა, ხოლო სამუშაო დღე იზრდება. ასე, მაგალითად, მანესმანის დიდ საწარმოში, ქალაქ კომოტაუში, ფაშისტების მოსვლის შემდეგ შემოღებულია ათსაათიანი სამუშაო დღე. პირველი იანვრიდან 10 საათიანი სამუშაო დღე შემოღებული იქნება სუდეტის ოლქის სხვა საწარმოებშიც.

ხალხის მასების უკმაყოფილება ფაშისტი ბარბაროსების რეჟიმით უკანასკნელ დროს სულ უფროდაუფრო მწვავე ფორმებს იღებს.

ქალაქ ტირნში 11 დეკემბერს ცენტრალურ მოედანზე გამოჩნდა დიდი პლაკატი წარწერით: „მოვითხოვთ ოლქის დაბრუნებას ჩეხოსლოვაკიისათვის“. მეორე დღეს ქალაქში დააპატიმრეს რამდენიმე ათეული კაცი. იმასთან დაკავშირებით, რომ მრავალი მშრომელი-გერმანელი და ჩეხი — რეგულარულად ისმენს რადიოგადაცემებს მოსკოვიდან, მთელ ოლქში ჩატარდა რადიომსმენელების მასობრივი დაპატიმრება.

ჩეხური მოსახლეობის უკმაყოფილება უფრო მკვეთრად მჟღავნდება. მთელ რიგ რაიონებში გერმანელთა სკოლების საბოტაჟით მშობლებმა იმას მიაღწიეს, რომ სწავლება ისევ ჩეხურ ენაზე შემოიღეს. 4 დეკემბერს ჩეხთა მოსახლეობამ ძირითადად ჰიტლერის რეჟიმის წინააღმდეგ მისცა ხმა. ყველა ცდამ შეარიგონ ჩეხები „ახალ სამშობლოს“ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ჩეხი მშრომელები აშკარად გამოსთქვამენ თავის სიძულვილს დამპყრობლებისადმი. აი დამახასიათებელი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 4 დეკემბერს სოფელ გლუბოჩიცში (მორავია). რაიხსტაგის „არჩევნების“ დამთავრების შემდეგ იმ სკოლის შენობაში, სადაც საარჩევნო უბანი იყო მოთავსებული, გამოცხადდა 3 მოიერიშე, რომლებიც საარჩევნო ყუთების წაღებას შეეცადნენ. ამ ყუთებში იყო 400 ბიულეტენი, რომლებიც ჩაყრილი იყო სოფლის მცხოვრებლების მიერ. დიდძალი ხალხი, უმთავრესად ქალები, თავს დაესხნენ მოიერიშეებს და წაართვეს მათ საარჩევნო ყუთები. „არჩევნების“ ორგანიზატორებს ძალაუნებურად მოუხდათ ხმების დათვლა ამომრჩეველთა თანდასწრებით. გამოირკვა, რომ ფაშისტებისათვის ხმა მიუცია სულ 10 კაცს. სოფელში მოსულმა მოიერიშეთა რაზმმა ძალით წაიღო საარჩევნო ყუთები. მეორე დღეს გლუბოჩიცის მოსახლეობამ აღშფოთებით შეიტყო, რომ ფაშისტებს უსირცხვილოდ სიყალბე ჩაუდენიათ. ოფიციალურ ნაკრებ ცნობაში მათ გამოაქვეყნეს, რომ 10 ხმა იყო მიცემული მათ წინააღმდეგ, ხოლო დანარჩენებმა თითქოს მათ მისცეს ხმები.

გერმანია-იტალიის კოლონიური პრეტენზიები

პარიზი, 18 დეკემბერი (საკდესი). როგორც ტაბუი „ევრში“ გადმოგვცემს, რომიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების მიხედვით, მთავრობის თვალსაჩინო მოხელეებისა და გერმანიის არმიისა და ფლოტის სარდლობის კონფერენციის დროს, რომელიც 9-10 დეკემბერს მოხდა მიუნხენში, ჰიტლერმა შემდეგი ინსტრუქცია მისცა მათ:

„იტალიის მოთხოვნები ესპანეთის, ტუნისის, ჯიბუტისა და სუეცის შესახებ ამჟამად ბერლინ-რომის ღერძის პოლიტიკურ პროგრამას წარმოადგენენ. გერმანია ეთანხმება იმას, რომ იტალიელთა ეს მოთხოვნები წამოყენებული იქნება პირველ რიგში“.

რომში ლაპარაკობენ, რომ ჰიტლერი თითქოს ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობას და იმასაც კი, რომ გაგზავნილ იქნას იტალიაში სამხედრო ტექნიკოსები და სამხედრო აღჭურვილობა.

აჯანყება მეამბოხეთა ზურგში

„ესპანის“ სააგენტოს ბაიონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში მოდის ცნობები იმ მღელვარების შესახებ, რომელიც ხდება ფაშისტ მეამბოხეთა მიერ დაპყრობილ ესპანეთის სხვადასხვა პუნქტებში.

„ესპანის“ სააგენტოს კორესპონდენტმა შესძლო მთელი რიგი ცნობების მიღება ორენსში, პამპლონასა და სეგოვიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, მეამბოხეთა ზურგი მწვავე კრიზისს განიცდის. მოვლენათა კონტროლი ხელიდან უსხლტება მეამბოხეებს. ორენსის პროვინციაში 8 დეკემბერს, იმდენად ძლიერი სამხედრო აჯანყება მოხდა, რომ მეამბოხეთა ხელისუფალნი იძულებული გახდნენ დიდი ძალები გაეგზავნათ სალამანკიდან მის ჩასაქრობად. სამხედრო პირებისა და ფალანგისტების სხვა აჯანყებებთან დაკავშირებით, რაც 11 დეკემბერს სეგოვიაში მოხდა, ფრანკოს არმიის მრავალი ოფიცერი, მათ შორის 6 პოლკოვნიკი, ჩამწყვდეულია ბურგოსის საპყრობილეში. 16 დეკემბერს გათენებისას პამპლონის მიდამოებში არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი სროლა ისმოდა, რაც ერთ საათს გაგრძელდა. მეამბოხეთა მიერ დაპყრობილ რაიონებში იტალიელი ინტერვენტებისადმი მოსახლეობის მტრული განწყობილება მკვეთრად იზრდება.

○

პარიზი, 18 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთ „სე სუარის“ ბარსელონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, მეამბოხენი დიდ შეტევას ამზადებენ ებროს ფრონტზე. ამ ოპერაციისათვის თავმოყრილია 200 ათასამდე ჯარისკაცი. ამ ჯარისკაცთა შორის 60 ათასი იტალიელი ქვეითი ჯარისკაცია.

ესპანელ ფაშისტ მეამბოხეთა შეტევა, რომელიც თავდაპირველად 14 დეკემბრისათვის იყო დანიშნული, გადადებულია. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, მეამბოხეთა შეტევის გაჭიანურების მიზეზს წარმოადგენს, ალბათ, საშიში მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ზურგში.

გერმანიისა და იტალიის ფაშისტები მემორანდუმს ამზადებენ

პარიზი, 19 დეკემბერი (საკდესი). ფურნიეს სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ იტალიისა და გერმანიის საზღვაო წრეები სპეციალურ მემორანდუმს ამზადებენ სუეცის არხის საკითხზე. სტატისტიკურ ცნობათა საშუალებით იტალიელთა და გერმანელთა წრეებს სურთ დაამტკიცონ, რომ ის ტარიფები, რომლებიც დაწესებულია გემთა გავლისათვის, მეტად მაღალია. გერმანია და იტალია მოითხოვენ სუეცის არხის კომპანიის ხელმძღვანელობაში მონაწილეობას.

რეპრესიები მუშათა წინააღმდეგ საფრანგეთში

პარიზი, 18 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთის მუშათა პრესა იუწყება, რომ მეწარმეებისა და მთავრობის რეპრესიები მუშათა წინააღმდეგ 30 ნოემბერს მომხდარ გაფიცვაში მონაწილეობისათვის კვლავ გრძელდება. გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ჩრდილოეთის დეპარტამენტში 150 მუშას მიესაჯა საპყრობილეში პატიმრობა ვადით რამდენიმე დღიდან 6 თვემდე. მთელ რიგ სხვა დეპარტამენტებში მუშები ჩამწყვდეული არიან საპყრობილეებში, ხოლო პროფკავშირთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელები დაპატიმრებული არიან. პარიზის რენოსა და სიტროენის ქარხნებში ჯერაც დათხოვნილი რჩება ათასობით მუშა.

პარლამენტის სოციალისტურმა ჯგუფმა დეპუტატთა პალატის ბიუროში წარადგინა პროექტი კანონისა კერძო მრეწველობის ყველა იმ მუშა-მოსამსახურეთა ამნისტიისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომელთაც რეპრესიები განიცადეს.

საფრანგეთის კომპარტია ყოველდღე აწყობს საფრანგეთის ყველა რაიონში მრავალრიცხოვან მიტინგებს, სადაც მონაწილეობას იღებენ ასობით და ათასობით მშრომელები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ მთავრობის საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ, მთავრობისა და მეწარმეთა რეპრესიების წინააღმდეგ, მიუნხენის შეთანხმების წინააღმდეგ.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის მიერ ჩუნცინელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

სამხრეთ ჩინეთში

ტამშუისა და პინშანის (კანტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით) დაკავების შემდეგ, ჩინელთა ჯარი განაგრძობს წინსვლას. იაპონელები ცდილობენ გამაგრებას ტამშუისა და პინშანის რაიონში იმ მიზნით, რომ შეაჩერონ ჩინელთა ჯარის შემდგომი წინსვლა. მაგრამ 16 დეკემბერს მომხდარი გაფთრებული იერიშის შედეგად იაპონელთა ერთეულების ნაშთები ამ რაიონში სავსებით ალყაშემორტყმულია ჩინელი ჯარის მიერ. ტამშუისთვისა და პინშანისათვის გამართულ ბრძოლებში ჩინეთის ჯარმა ხელთ იგდო დიდი ნადავლი, მათ რიცხვში რამდენიმე მძიმე ქვემეხი და დიდძალი ტყვიამფრქვევი.

ვ. პ. ჩკალოვის ოჯახის წევრთა და მახლობელთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი

ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის ოჯახის წევრები და მახლობელნი ღრმა და გულითად მადლობას გიცხადებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, იმ თანაგრძნობისა და მზრუნველობისათვის, რომელიც ჩვენს მიმართ გამოიჩინეთ თქვენ ამ მძიმე, მწუხარების დღეებში.

განსაკუთრებული სიყვარულით ვიგონებთ თქვენს მუდმივ გულისხმიერ მამობრივ დამოკიდებულებას, რომელსაც თქვენ მუდამ იჩენდით ვალერი პავლეს-ძის მიმართ.

მისი საუბრები თქვენთან, მითითებანი, რომლებსაც იგი თქვენგან ღებულობდა, მუდამ ჰბადებდა მასში სიამაყისა და სიმტკიცის გრძნობას, ზრდიდა მასში სიმამაცეს და განუხრელ მისწრაფებას—მიეღწია ახალ გამარჯვებათათვის სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

ვალერის ეს გრძნობები, ეს განწყობილებები ჩვენ, მის მახლობელ ადამიანებსაც გადმოგვეცემოდა ხოლმე.

იმ დიდ უბედურებაში, რომელიც მოულოდნელად დაგვატყდა თავს, ჩვენთვის დიდი ნუგეშია ის შეგნება, რომ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, შესძლით დახელოვნებული მებაღის გულთბილი მზრუნველობით აღგეზარდათ მედგარი ბოლშევიკი ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი, სამშობლოს ერთგული შვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე უკლებლივ მოახმარა სოციალიზმის საქმეს.

ჩვენ გულში გვექნება აღბეჭდილი დაუვიწყარი ქმრის, მამის, შვილისა და ძმის ნათელი სახე და პირობას გაძლევთ, მშობლიურო და საყვარელო, იოსებ ბესარიონის-ძევ, პატიოსნად და გულმოდგინედ ვიმუშაოთ, რათა გავამართლოთ ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის ოჯახის წევრთა და მახლობელთა მაღალი სახელწოდება.

ოლღა ჩკალოვა, იგორ ჩკალოვი, ალექსი და ზინაიდა ჩკალოვები, ნატალია ჩკალოვა, დები სოფიო და ანა ჩკალოვები, ვლადიმერ და იური ფროლიშევები, ნიკიფორე და კონსტანტინე გორდეევები, მარიამ ორეხოვა, გიორგი ორეხოვი, ევგენია ორეხოვა.

„პრავდა“, 20 დეკემბერი.

ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის ხსოვნას

მოსკოვი, 19 დეკემბერი (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა „ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი“. იგი შეიცავს მთავრობის ცნობას ჩვენი დროის დიდი მფრინავის დაღუპვის შესახებ, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამძიმარს. დიდ ინტერესს წარმოადგენს ბროშურაში მოთავსებული სტატია ვალერი ჩკალოვისა —„ჩვენი ტრანსპოლარული რეისი“.

დღეს კინოქრონიკის მოსკოვის სტუდიამ დაამთავრა მუშაობა დოკუმენტალურ ფილმზე—„დიდი მფრინავის ხსოვნას“.

მაყურებელი ეკრანზე დაინახავს ამხანაგ სტალინის შეხვედრას ჩკალოვთან 1935 წლის 2 მაისს ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე, მოსკოვ-კუნძულ ჩკალოვის მარშრუტით გადაფრენის სტარტს, ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის საზეიმო დაბრუნებას, მოსკოვი-იოდილოეთი პოლუსი-ჩრდილოეთი ამერიკის მარშრუტით გადაფრენის სტარტს და გმირების საზეიმო შეხვედრას ამერიკაში.

ეკრანზეა კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზი. მოსკოვის 350 ათასი მშრომელი ემშვიდობება ჩვენი დროის დიდ მფრინავს. კუბოსთან საპატიო ყარაულში დგანან ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი.

გადაღებულია ვ. პ. ჩკალოვის დაკრძალვა და წითელ მოედანზე შემდგარი სამგლოვიარო მიტინგი.

○

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად - საკავშირო ბიბლიოთეკის ცენტრალურ სამკითხველო დარბაზში ხვალ იხსნება ვ. პ. ჩკალოვისადმი მიძღვნილი გამოფენა. მრავალრიცხოვანი საგაზეთო და ფოტოსაილუსტრაციო მასალები, წიგნები და ბროშურები მოგვითხრობენ მფრინავ-ბოლშევიკის შესანიშნავ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დიპლომატიური კორპუსის სამძიმარი

საბჭოთა კავშირის გმირის, ბრიგადის მეთაურის ვ. პ. ჩკალოვის დაღუპვის გამო

საბჭოთა კავშირის გმირის, ბრიგადის მეთაურის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის სიკვდილთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის სახელზე მიღებულია სამძიმარი იტალიის ელჩის ბ-ნ როსოსა, ლიტვის დესპანის ბ-ნ ბალტრუშაიტისა, ფინეთის დესპანის ბარონ ირიე კოსკინენისა, უნგრეთის დესპანის ბ-ნ იუნგერტ-არნოტისა, ჩეხოსლოვაკიის დესპანის ბ-ნ ფირლინგერისა, შვეციის დესპანის ბ-ნ ვინტერისა და ბელგიის დესპანის ბ-ნ ხენდრიკსისაგან. (საკდესი).

ლატვიის გაზეთები ვ. პ. ჩკალოვის შესახებ

რიგა, 19 დეკემბერი (საკდესი). ლატვიის გაზეთები „იაუნაკას ზინიას“, „ბრივა ზემე“ და „რიტს“ დაწვრილებით ცნობებს ათავსებენ საბჭოთა კავშირის გმირის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის დაღუპვის შესახებ. გაზეთებს მოჰყავთ მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, აღნიშნავენ მის მამაცობას, სიმტკიცეს და უდიდეს პოპულარობას და იმას, რომ ჩკალოვი პირველი გადაფრინდა ჩრდილოეთ პოლუსზე. გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე ჩკალოვის, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნ. ა. ოსტროვსკის გარდაცვალების მეორე წლისთავისათვის

სოჭა, 19 დეკემბერი (საკდესი). 22 დეკემბერს სრულდება ბოლშევიკი მწერლის, ორდენოსანი ნ. ა. ოსტროვსკის გარდაცვალების მეორე წლისთავი. სოჭის საწარმოებში, სკოლებსა და სანატორიუმებში ტარდება საუბარი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, იმართება სალიტერატურო საღამოები.

სოჭის ოსტროვსკის სახელობის მუზეუმში აგებულია ახალი პავილიონი. მასში თავმოყრილია მასალა, რომელიც ეხება იმ პერიოდს, როცა მწერალი მუშაობდა რომანზე „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. 10 თვის განმავლობაში მუზეუმი დაათვალიერა 49 ათასმა კაცმა.

მუზეუმის დირექტორის—მწერლის დის ე. ა. ოსტროვსკაიას ცნობით, რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ 106-ჯერ გამოიცა: 64—რუსულ ენაზე, 36—სსრ კავშირის ხალხთა ენებზე და 6—უცხოურ ენებზე. ამ წიგნის საერთო ტირაჟი შეადგენს 2.029.000 ეგზემპლარს.

რომანი „ქარიშხლისაგან შობილნი“ გამოიცა 37-ჯერ 1.600.000 ეგზემპლარი საერთო ტირაჟით.

გამოფენა ყაზანის უნივერსიტეტში

ყაზანი, 19 დეკემბერი (საკდესი). ყაზანის უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, მოწყობილი სტუდენტთა იმ კრების 51 წლისთავის აღსანიშნავად, რომლის მონაწილეც იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. გამოფენაზე წარმოდგენილია საბუთები ყაზანში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. ამ საბუთებს შორის არის: ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველის მასლენიკოვის მოხსენება კრების მონაწილეთა შესახებ, ყაზანის გუბერნატორის მიმართვა ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვზე სასტიკი საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესების შესახებ და სხვა საბუთები.

გამოფენილია წიგნები, რომლებზედაც მუშაობდა ვლადიმერ ილიას-ძე სტუდენტობის წლებში, და ლიტერატურა სტუდენტთა კრების შესახებ, რომელიც გაიმართა 1887 წლის 4 დეკემბერს (ძველი სტილით).

◆

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გზათა სახალხო კომისრის მოადგილედ პოლიტნაწილში დაამტკიცა ამხ. მ. ი. ოლონოვი და შეიყვანა იგი გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში. (საკდესი).

საკოლმეურნეო კადრების მომზადებაზე არ ზრუნავენ

გურჯაანის ავტოსატრაქტორო და რაისაკოლმეურნეო სკოლებს დავალებული აქვთ მოამზადონ შოფერები, ტრაქტორისტები, კომბაინერები და სხვა დარგის სპეციალისტები. მიმდინარე წლის მარტო მესამე და მეოთხე კვარტალში მათ უკვე მოამზადეს და გამოუშვეს 93 შოფერი და 67 ტრაქტორისტი.

მიუხედავად ამ წარმატებისა, გურჯაანის ავტოსატრაქტორო და რაისაკოლმეურნეო სკოლების მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომელთა გამოუსწორებლობა გეგმების შესრულებას ჩაშლით ემუქრება. 25 ნოემბრისათვის სატრაქტორო სკოლაში უნდა მიეღოთ 140 მსმენელი „სტზ“ თვლებიან ტრაქტორზე მუშაობისათვის მოსამზადებლად. ფაქტიურად 18 დეკემბრამდე მხოლოდ 104 კაცი შეაგროვეს. წნორის მტს-ს (დირექტორი—ამხ. ივ. ფეიქრიშვილი) გურჯაანის სკოლაში უნდა მიევლინებინა 35 კაცი, არ მიუვლინებია არცერთი. ამავე დროს, წნორის მტს, მიწსახკომისადმი მის მიერ წარდგენილი მოთხოვნილების მიხედვით, აკლია 53 ტრაქტორისტი, 31 ბრიგადირი და კომბაინერი. მიუხედავად ამისა, წელს მოსამზადებლად მტს-მა მხოლოდ 13 კაცი მიავლინა.

ალაზნის მტს-საც (დირექტორი—ამხ. გ. ასატუროვი) გურჯაანის სკოლაში 35 კაცი უნდა მიევლინებია, ფაქტიურად მხოლოდ 5 კაცი მიავლინა. წითელ წყაროს მტს-მაც (დირექტორი—ამხ. მ. ერიაშვილი), ნაცვლად 18 კაცისა მხოლოდ 7 კაცი მიავლინა.

გარდა ამისა, გურჯაანის სკოლას „სტზ-ნატის“ ტრაქტორებისათვის მოსამზადებლად 25 ნოემბრამდე უნდა შეეკრიბა 60 კაცი, მაგრამ ეს გეგმაც შეუსრულებელი რჩება. ულიანოვკის მტს-ს (დირექტორი—მ. ალავერდაშვილი) დღემდე არ მიუვლენებია 5 კაცი, წითელწყაროს მტს-ს—10.

ჩაშლის საფრთხის წინაშეა კომბაინერთა მომზადების საქმეც. ამ დარგის სპეციალისტებად გურჯაანში 25 ნოემბრიდან 6-თვიან კურსებზე 60 კაცი უნდა მომზადდეს, მაგრამ წითელწყაროს მტს-მა გურჯაანის სკოლას არ მისცა 16 კაცი, ალაზნის მტს-მა—4, ყვარლისამ (დირექტორი—ამხ. ვ. ტალახაძე)—6. ასევე არ გამოჰყო და არ მიავლინა გურჯაანის ავტოსკოლაში 9 კაცი თბილისის ავტოკოლონამ.

გურჯაანის ავტოსატრაქტორო და რაისაკოლმეურნეო სკოლებში მტს-ებისა და კოლმეურნეობების მიერ მივლინებულთა კვებისათვის გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის გამო მსმენელები იძულებული არიან დასტოვონ მეცადინეობა. მაგალითად, მარტო წნორის მტს-ზე ამჟამად ირიცხება 4.800 მანეთი, გურჯაანის მტს-ზე—3.500, კაჭრეთისაზე (დირექტორი—ამხ. ალ. მეტრეველი) — 5.200, წნორისაზე —3.675, ყვარლისაზე—1.580 მანეთი და სხვ. სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას გურჯაანის სკოლაში მივლინებულ ალექსი ბაგალიშვილისათვის დღემდე არ მიუცია 4½ თვის კვების თანხა 540 მანეთი, თუმცა ამის შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჩანჩაშვილი ბევრჯერ გააფრთხილეს.

ასეთსავე მდგომარეობაშია 10 მსმენელი ამავე რაიონის სოფელ ანაგის კოლმეურნეობა „შრომის“, ბოდბისხევის — სტალინის სახელობის, ვაქირის—ბერიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებიდან მოვლინებულნი.

გარდა ამისა, თელავის მტს-იდან ახლახან გამოყოფილი და ჩამოყალიბებული ახმეტის მტს-ის მიერ გურჯაანის სკოლაში მივლინებული იქნა 20 ტრაქტორისტი, რომლებიც უნდა გადამზადდნენ ტრაქტორისტებად და კომბაინერებად. აღნიშნულ ტრაქტორისტებს ნამუშევარი აქვთ თელავის მტს-ში, მაგრამ ეს უკანასკნელი, ნაცვლად სწავლაში ხელის შეწყობისა, ანგარიშის გასწორებაზე უარს ეუბნება. ამ მიზეზის გამო მსმენელები იძულებული არიან სასწავლებელი დასტოვონ.

გარდა ამისა, გურჯაანის ავტოსატრაქტორო და რაისაკოლმეურნეო სკოლების საერთო საცხოვრებლებში აუცილებლად საჭირო 350 ლოგინი არა აქვთ. ამის გამო მსმენელები ცუდ მდგომარეობაში არიან. ლოგინების შესაძენად საჭიროა 20.000 მანეთამდე, რაც თავის დროზე ეცნობა საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს და მის უფროსს ამხ. ნ. კობახიძეს, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს თავის დროზე ეცნობა აგრეთვე, რომ გურჯაანის სკოლების საერთო საცხოვრებლის 5 დიდ ოთახში ცემენტის იატაკია, რაც ხელს უწყობს დაავადებას, და აუცილებელია ფიცრის იატაკის დაგება. გამოთხოვნილ იქნა ხე-ტყის მასალა და აუცილებლად საჭირო თანხები, მაგრამ სკოლას ჯერჯერობით არაფერი არ მიუღია.

გურჯაანის ავტოსატრაქტორო სკოლის საშოფერო ჯგუფის პროგრამაში გათვალისწინებულია ავტომანქანების „მ-1“-ისა და „ზის“-ის შესწავლა. საჭიროა ორ-ორი ავტომანქანა, — თითო ძველი და დაშლილი—ცდებისათვის და თითო აწყობილი—ვარჯიშისათვის. სკოლას კი ასეთი მანქანები სრულიად არ მოეპოვება და მოკლებულია საშუალებას შესაფერი პრაქტიკული ცოდნა მისცეს მსმენელებს.

მომზადებული კადრების გამოშვება აკრძალულია მიწსახკომის წარმომადგენლის დაუსწრებლად. საკვალიფიკაციო კომისიას აუცილებლად მიწსახკომის წარმომადგენელი უნდა თავმჯდომარეობდეს. ამ წესს საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო არ ასრულებს. მიუხედავათ იმისა, რომ სამმართველოს ადრევე ეცნობა კადრების გამოშვების დღის შესახებ, სკოლამ ვადის გასვლის 4 დღის შემდეგ მიიღო საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს უფროსის ამხ. კობახიძის ხელმოწერილი დეპეშა: „ტრაქტორისტები ჩვენს დაუსწრებლად გამოუშვითო“. ამან სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, გამოიწვია კადრების გამოშვების 10 დღით დაგვიანება და თანხების გადახარჯვა.

განა გურჯაანის ავტოსატრაქტორო და რაისაკოლმეურნეო სკოლების მუშაობისათვის უშუალო პასუხისმგებელი არ არიან საქმიწსახკომი და მისი კადრების მომზადების სამმართველოს უფროსი?

ტრ. თოდრაძე

გიგანტი აფხაზეთის მთებში

(ტყვარჩელის თბოელექტროსადგური)

ღალიძგას მიერ შუაზე გარღვეული აკარმარის მთების ძირში, იქ, სადაც მდინარე ცოტახნით ანელებს ზათქსა და შფოთვას, ხუთი წლის წინათ დაჰკრეს წერაქვი ძლიერი თბოელექტროსადგურის მშენებლებმა.

მდინარის ნაპირზე გაჩნდნენ სახელდახელო, დროებითი პირველი კარვები... ნაღმებს ანგრევინებდნენ ნახევრად ქვადქცეულ მიწას... იწყებდნენ მყარი, სქელი და მაღალი საძირკვლის დადუღაბებას... ახლომახლო სოფლებიდან მოვიდნენ მშრომელები. დღედღეზე იზრდებოდა მშენებელთა არმია.

ჭაღარა კავკასიონი კი გოროზად მოსდგომოდა აფხაზეთის მთებს და თავის პირმშოს — დაუდეგარ ღალიძგას აჩქარებდა ზღვისაკენ.

...ეს იყო 1934 წლის დასაწყისი.

⊙

დღეს, მშენებლობის დაწყებიდან ხუთი წლის თავზე, უკვე დამთავრდა გიგანტის აგება. ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო 1938 წელი, როდესაც ძირითადად დაიდგა ყველა რთული მოწყობილობა. მშენებლობის მთელმა კოლექტივმა მიაღწია სახელოვან გამარჯვებას იმით, რომ საუკეთესოდ აითვისა თანამედროვე რთული ტექნიკა. წარმოების სტახანოველები, ინჟინერ - ტექნიკოსები და მუშები თავდადებით იბრძოდნენ პარტიისა და მთავრობის საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულებისათვის, — რაც შეიძლება მალე დაემთავრებინათ თბოელექტროსადგურის მშენებლობა.

ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მთელი სიმძლავრე უდრის 100 ათას კილოვატს. პირველ ხანებში კი, როდესაც მუშაობას იწყებს პირველი რიგი, სადგური მოგვცემს 24 ათას კილოვატს, ანუ 32,5 ათასი ცხენის ძალის ელექტროენერგიას. თავის ძალას თბოელექტროსადგური მისცემს საქართველოს ჰიდროელსადგურების კვანძს, რომელიც მომსახურებას უწევს ზესტაფონის ფეროგიგანტს, ელექტროფიცირებულ რკინიგზას, ტყვარჩელის, ტყიბულის მაღაროებსა და ინგურის ქაღალდის კომბინატს.

თბოელსადგური აგებულია მყარ საწარმოო ბაზაზე, — ესაა ტყვარჩელის ქვანახშირი. ელსადგურს დღეღამეში დასჭირდება 450 - 500 ტონა ქვანახშირი, რასაც მას პირდაპირი საბაგირო გზით მიაწვდის ტყვარჩელის ქვანახშირის მაღარო.

⊙

საინტერესოდაა მოწყობილი თბოელსადგური. იგი შესდგება მრავალი საამქროსა და განყოფილებისაგან. თვითეული საამქრო და განყოფილება მთლიანად დამოკიდებულია სხვა განყოფილებების მუშაობაზე და თავიდან ბოლომდე სადგური წარმოადგენს ერთიან, ზუსტსა და რთულ საწარმოს.

პირველი მთავარი საამქრო—ესაა სათბობის საამქრო, რომელიც სადგურს აწვდის ქვანახშირს. ამ საამქროში უკანასკნელ სართულზე პირდაპირი ბაგირით, რომელიც უერთდება ცენტრალურ საჰაერო გზას, ღებულობენ ნახშირს, როგორც გარეცხილს, ისე გაურეცხავსა და დიდ ლოდებად მომტვრეულს. ნახშირის მიღებაზე იმუშავებს 80 ვაგონი, თვითეული ერთი ტონის ტევადობით. აქედან ნახშირი პირდაპირ მიდის ქვედა სართულზე, მკვებავ განყოფილებაში, სადაც სპეციალური მანქანები მას გადასცემენ ტრანსპორტიორს.

ტყვარჩელის თბოელსადგურის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): საქვაბე საამქროს ოსტატი, სტახანოველი **ნ. მ. ევტუშენკო**, სტახანოველი მემანქანე **მ. ს. კულავა**, მშენებლობის უფროსი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **დ. ნ. ჩხეიძე**, სტახანოველი დურგალი **ტ. ა. მარტინჩუკი**, საქვაბე საამქროს უფროსი **მ. ა. რატიანი**, სტახანოველი ზეინკალი **ა. ა. მარჩენკო**.

აქვეა მოწყობილი მუშების დასასვენებელი ოთახები, აბანოები, ტანსაცმლის შესანახი.

ნახშირი მიდის ორმაგ საცერში, რომელიც მას გადასცემს მიმწოდებელ ლენტს. ნახშირი ექცევა სამსხვრევ მანქანაში; იგი ამსხვრევს ნახშირის ლოდებს. აქვეა მოწყობილი მაგნიტის სეპარატორი, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ ნახშირს გამოერია რკინანარევი ლოდი, მიიზიდავს მას და გადაიტანს უვარგისი ნახშირის ღარში. მეორე მანქანა ნახშირს ამსხვრევს 5 მილიმეტრის ზომაზე. ამის შედეგად ნახშირი სათბობის საამქროდან გრძელ ქარავანად მიედინება შემართზე ტრანსპორტიორით, რომლის სიგრძე 120 მეტრს უდრის. აქ მოწყობილია ორი ასეთი ტრანსპორტიორი. თვითეულს შეუძლია საათში გაატაროს 160 ტონა ქვანახშირი. მასზევე მოწყობილია მექანიკური სასწორები, რომლებიც უჩვენებენ გადაცემული ნახშირის რაოდენობას.

ამ საინტერესო და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ნახშირი ექცევა წისქვილში, რომელსაც დიდი ბარაბანის ფორმა აქვს. მასში მოთავსებულია სხვადასხვა ზომის ფოლადის ბურთები. წისქვილის ბრუნვის დროს ბურთები ცვივიან ზევიდან ძირს და ნაყავენ ნახშირს. ამ ბურთების მთელი წონა 35 ტონამდე აღწევს.

წისქვილში განუწყვეტლივ ჰქრის ცხელი ჰაერი, რომელიც ნახშირის მტვერს მიაქანებს სპეციალურ მილში. მტვერი ისეთია, რომ მას თავისუფლად შეუძლია გავიდეს აბრეშუმის ტილოში. ვენტილატორის საშუალებით ნახშირის მტვერი ექცევა ვეებერთელა საცეცხლურში, რომლის სიმაღლე 10 მეტრს უდრის და რომელსაც გვერდზე დატანებული აქვს ქვაბის მილები, რომლებიც წყლითაა სავსე. საცეცხლურში ტემპერატურა 1.200 გრადუსამდე აღწევს. ასეთი დიდი ტემპერატურა იწვევს წყლის სწრაფ აორთქლებას. ორთქლი მიდის სპეციალურ მილებში, სადაც ხდება მისი ხელახალი გადახურება. ორთქლის სითბო აღწევს 425 გრადუსამდე, ხოლო წნევა 32 ატმოსფერომდე. ამ სახით მიდის ის მთავარ ტურბინში და ამოქმედებს უძლიერეს შიდაწვის ძრავებს.

ამდენად რთულია თბოელსადგურის მუშაობის მთელი პროცესი. მშენებლობის ხელმძღვანელობამ (უფროსი — ამხ. ჩხეიძე, მთავარი ინჟინერი—ამხ. რეკვავა) წინასწარ გაითვალისწინა რა ელსადგურის მუშაობის სირთულე, ისე მოაწყო ის, რომ თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი შეფერხება. ყველა მანქანა — ნახშირის მიმღები, დამხარისხებელი, დამმტვრევი, დამფქვავი და სხვა — მოწყობილია ორ ცალად. ერთის შეფერხების შემთხვევაში სადგური გააგრძელებს მუშაობას მეორის საშუალებით.

⊙

სადგურის მშენებლობაში ბევრმა მუშამ, ინჟინერმა და ტექნიკოსმა ისახელა თავი საუკეთესო მუშაობით. მათ შეჰქმნეს საუკეთესო თბოელექტროსადგური აფხაზეთის მთებში, შეჰქმნეს ის თანამედროვე საბჭოთა მძლავრი ინდუსტრიის საფუძველზე: სადგურში დადგმული ყველა მანქანა დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში.

სტახანოველი დიმიტრი ოლეინიკოვი, კომუნისტი მემანქანე-ტურბინატორი, განთქმულია თავისი მუშაობით. მან თავისი ძალა და ენერგია განსაკუთრებით გამოიჩინა ა. წ. ნოემბერსა და დეკემბერში... სადგური მზად იყო გაშვებისათვის, მაგრამ უეცრად აღმოჩნდა დეფექტი, რომელიც ხელს უშლიდა ტურბოგენერატორის მუშაობას. საჭირო იყო მუშაობის დაკვრითი წესით ჩატარება. ოლეინიკოვმა დაივალა ეს საქმე. მშენებლობის პარტიულმა კომიტეტმა დიდი დახმარება აღმოუჩინა თავის კომუნისტს აღებული ვალდებულების შესრულებაში. 2 დეკემბერს ოლეინიკოვმა თავისი ბრიგადის სახელით იკისრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — 12 დეკემბრისათვის დაემთავრებინა ტურბოგენერატორის რემონტი. ამხ. ოლეინიკოვთან ერთად რემონტზე მუშაობდნენ უპარტიო მემანქანეები ზავერიაჩევი და ნინატოჩი, აგრეთვე პარტიის წევრობის კანდიდატი, ახალგაზრდა ინჟინერი მაკარი ბარბაქაძე.

ამხ. ოლეინიკოვი და ბარბაქაძე მუშაობდნენ თავდადებით და აქტიურად ხელმძღვანელობდნენ დანარჩენ, უპარტიო ამხანაგებს. სამუშაო შესრულებულ იქნა ვადაზე და მაღალხარისხოვნად. თუ წინათ ამხ. ოლეინიკოვი თვეში იღებდა 500 მანეთს, ამჟამად, სტახანოვური მუშაობის შედეგად, მიიღო 1212 მანეთი, ამხ. ზავერიაჩევმა გამოიმუშავა 1218 მანეთი.

ალექსანდრე ბელებეშკო, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სადგურის მშენებლობაში, ახლა დაწინაურდა და გადავიდა წყლის ქიმიური წმენდის განყოფილებაში. ის წინათ მუშაობდა დურგლად. შემდეგ მას აღეძრა სურვილი გამოსულიყო სპეციალისტი, რომ გამხდარიყო ელსადგურის მშენებელი, სადგურის მუშაობის მონაწილე. მას სათანადოდ დაეხმარნენ პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები. მას მიამაგრეს წყლის ქიმიური წმენდის სპეციალისტი და ბელებეშკომ სულ მცირე ხნის განმავლობაში შეისწავლა მთელი ტექნოლოგიური პროცესი. ახლა ის თავის სპეციალობას ასწავლის ალექსანდრე ბოკოვს.

ზეინკალი ბრიგადირი მორჩენკო ყოველთვის 10-15 დღით ადრე ასრულებდა სამუშაო გეგმას. ნოემბერში მორჩენკოს ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 2.035 საათის ნაცვლად რემონტს მოანდომა 1.161 საათი, გეგმა შეასრულა 175 პროცენტით. მექვაბე ჩერედნიკმა (ბრიგადირი) ქვაბის დადგმას, ნაცვლად 2.018 საათისა, მოანდომა 853 საათი, გეგმა შეასრულა 236 პროცენტით.

ტყვარჩელის ელექტროსადგურის მშენებლობაზე ასევე ცნობილია სტახანოველების ჯამფერ ბალათელიას, მარტინჩუკის, ნიკოლოზ ჩერნოვის, კოვალენკოს, კიშჩენკოს, ტრეგუბის, ე. ჩიგოგიძის, გუგუსაიის, ს. ჯაბავას, კულავას, მარია აბრიკინის, მ. რატიანის, ინჟინერ ნ. სარსანიას და სხვათა სახელები.

თავდადებული მუშაობით ბევრი სტახანოველი დაწინაურდა.

მაგალითად, ჯამფერ ბალათელია წინათ დურგალი იყო. თავის სამუშაოზე ის დაწინაურდა, როგორც პატიოსანი, ენერგიული მუშა. ახლა ის ელსადგურის ერთერთი გამოჩენილი სპეციალისტი-ტექნიკოსია. თავისთავზე ინდივიდუალური მუშაობით მან შესძლო ტყვარჩელის თბოელსადგურის მშენებლობაზე მუშაობის წლებში დაუფლებოდა ელექტროტექნიკას.

ძველი მუშა ამხ. ნ. ევტუშენკო, რომელიც აქ დასაწყისიდან მუშაობს, ახლა დაწინაურებულია უფროს ოსტატად.

მარია აბრიკინა წინათ დამლაგებელი იყო. მან დაამთავრა მოტორისტთა კურსები და ახლა მთელ სადგურში საუკეთესო მემოტორედ ითვლება. ასეთი ფაქტი ბევრია.

⊙

პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 38 კომუნისტს აერთიანებს, აქტიურად მუშაობდა ელსადგურის მშენებლობის გამარჯვებისათვის. კომუნისტები ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგნენ და უპარტიოებს უჩვენებდნენ თავდადებული მუშაობის მაგალითებს.

კომუნისტი მიხეილ კულნიჩი, რომელიც მშენებლობის დაწყების დროს მცირეწლოვანი იყო, ახლა მოწინავე სტახანოველად ითვლება. კულნიჩი უჩვენებს უპარტიო ამხანაგებს როგორც მუშაობის, ისე სწავლის მაგალითს. ის მუშაობასთან ერთად სწავლობდა საექსპლოატაციო დარგის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა. შეიძინა რა ერთი სპეციალობა, კულნიჩი ამით არ დაკმაყოფილდა, ხელი მოჰკიდა მეორის შესწავლას. ახლა ის ეუფლება ნახშირის საფქვავ წისქვილზე მუშაობას. გარდა ამისა, ამხ. კულნიჩი წარმოებას მოუწყვეტლივ ამთავრებს საღამოს სკოლის მეხუთე კლასს. მიუხედავად ხანშიშესულობისა, კულნიჩი განაგრძობს აქტიურ მუშაობას როგორც წარმოებაში, ისე თავისი ცოდნის ამაღლებისათვის.

კომუნისტმა ინჟინერმა ამხ. რ. ცანავამ, რომელიც სამონტაჟო განყოფილების ინჟინერია, ისე დააყენა საქმე თავის საწარმოში, რომ ელსადგურისათვის საჭირო ყველა მოწყობილობას აქ აკეთებენ. ამხ. ცანავამ თავი ისახელა საბაგირო ხაზის ხიდის გაყვანაში, ბაგირის დროულად და მაღალხარისხოვნად გაქიმვაში და სხვ. გარდა ამისა, ამხ. ცანავა ენერგიულად მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის, დამოუკიდებლად სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს.

ასევე სახელოვნად მუშაობდნენ კომკავშირელებიც. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მელქუმლე ს. ჯაბავამ მოაწყო კომკავშირული სტახანოვური ვახტი, რამაც ახალგაზრდობაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და დაანთო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ცეცხლი. მშენებლობაზე მუშაობდა სულ 80 კომკავშირელი.

განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში უპარტიოთა შორის სათანადო მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც პარტიული, ისე კომკავშირული ორგანიზაცია. მიმდინარე წელს პარტიაში მიღებულ იქნა 22 ამხანაგი.

⊙

თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა ტყვარჩელის თბოელსადგურ-სამტრედიის 110.000 ვოლტის ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა. ხაზი დამთავრდა ერთი თვის წინათ.

ხაზის გამოცდა უკვე ჩატარდა. გამოცდამ გვიჩვენა საუკეთესო შედეგები. ხაზმა ჩინებულად აიტანა მთელი ძალის ძაბვა.

⊙

...დამთავრდა კიდევ ერთი გიგანტის მშენებლობა. მასზე მუშაობდა 950 პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი. ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, რომელიც აშენებულია ტყვარჩელის მაღაროების მახლობლად, ღალიძგას ხეობაში, იძლევა პირველ დენს.

აფხაზეთის ხალხი ზეიმობს თავის კიდევ ერთს ახალ გამარჯვებას.

გ. მერკვილაძე

პროფ. არნ. ჩიქობავა

ქართული ენის სწავლებისათვის არაქართულ სკოლებში

უკანასკნელ წლებში ჩვენი სკოლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ რუსული ენის სწავლებას. ლენინის, პუშკინისა და ტოლსტოის ენა, დიდი რუსი ხალხის დედა-ენა, უმდიდრესი კულტურული საგანძურის შემცველია. ჩვენი ახალგაზრდობის კულტურული წინსვლისათვის რუსული ენის ცოდნა გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს.

სამისო ღონისძიებათა გამომუშავება-გატარებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჩვეული ენერგიით, გარკვეულობითა და სიმტკიცით საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე ორგანიზატორი და მესვეური ამხ. **ლავრენტი ბერია**.

მისივე ინიციატივით პარალელურად ფართოდ გაიშალა და მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლების მაღალ დონეზე აყვანისათვის.

ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მტკივნეულ ადგილებს ცალკე შევეხებით. აქ არაქართული სკოლების საკითხი გვაინტერესებს.

რაა საჭირო იმისათვის, რომ ქართული ენის სწავლება სათანადო დონეზე იდგეს ამ სკოლებში? პირველ ყოვლისა სამი რამ: დროის გარკვეული ბიუჯეტი, კარგი სახელმძღვანელო და მომზადებული მასწავლებელი.

პირველი საკითხი შედარებით მარტივია (იგი ამჟამად უკვე მოგვარებულიცაა მთავრობის სათანადო დადგენილებით).

გაცილებით უფრო რთულია სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის საკითხი.

წლების მანძილზე განათლების სახალხო კომისარიატი ადგენდა „ქართული ენის სახელმძღვანელოს არაქართველთათვის“.

ამ სახელმძღვანელოს ორი ძირითადი ნაკლი გააჩნდა: მისი საშუალებით უნდა ესწავლათ ენა, მაგრამ: 1. ის არ იყო ენის სახელმძღვანელო: უკვე საანბანო ნაწილში მოიპოვებოდა ისეთი გამოთქმები, რომელთა შეგნებულად შეთვისება გულისხმობდა პრაქტიკულად ქართული ენის ცოდნას; 2. რადგანაც ამ სახელმძღვანელოს მხედველობაში უნდა ჰქონოდა რუსი მოწაფეცა და სომეხიც, ოსიცა და აზერბაიჯანულად მოუბარიც, ერთი სიტყვით, ყველა „არაქართველი“, ნამდვილად ის ვერც ერთის მეტყველებას ვერ უწევდა ანგარიშს, ვერავის ვერ უწევდა ჯეროვან მომსახურებას.

ამ დეფექტებზე ყოველთვის მიუთითებდნენ სპეციალისტები განსახკომს, როცა ეს სახელმძღვანელოები იწერებოდა. შედეგი ამას არ მოჰყოლია: წინანდებურად იცემოდა ერთი სახელმძღვანელო „არაქართველთათვის“, ისიც ენის შესწავლისათვის შეუფერებელი.

წელს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე — გადაწყდა: 1. „ქართული ენის სახელმძღვანელო“ უნდა იყოს **ენის** სახელმძღვანელო, (როგორც ამას მისი სახელწოდებაც აღნიშნავს) და არა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ნაგლეჯების ნებისმიერი კრებული, ენობრივად სულ სხვადასხვა სიძნელისა; 2. შედგეს „ქართული ენის სახელმძღვანელო“ **ცალ - ცალკე**: რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური სკოლებისათვის.

ეს გადაწყვეტილება პედაგოგიურად სალსა და ენათმეცნიერულად მტკიცე დებულებებს ემყარება.

ახალი ენის შესწავლა-შეთვისება შეიძლება ორგვარად. პრაქტიკულად, ყოველგვარი გრამატიკული ანალიზის გარეშე, სათანადო ენაზე მოლაპარაკეთა წრეში; ეს გზა ყველაზე მარტივია და ყველაზე ეფექტური, ახალ ენაზე ალაპარაკების თვალსაზრისით. რუსული, ქართული, ინგლისური თუ აფხაზური ამგვარად თანაბრად კარგად დაიძლევა; ამ გზით ურთულესი ენის შესწავლას არ დასჭირდება იმდენი დრო, რამდენიც იხარჯება სულ ადვილი ენის შესწავლისას წიგნური წესით. მაგრამ ასეთი საშუალებით ენის შესწავლას საგანგებო პირობები ესაჭიროება და ეს პირობები მეტწილად არ მოგვეპოვება.

ჩვეულებრივად ენას ასწავლიან სკოლაში წიგნის საშუალებით, ხშირად ისე, რომ შესასწავლ ენაზე მოლაპარაკე წრეს სრულებით არ ხვდებიან. ასეთ შემთხვევაში დასაყრდენია წიგნის ენა, წარმოებს ხანგრძლივი, სისტემატური და გეგმაშეწონილი ვარჯიშობა წიგნის ენის შეგნებულად შეთვისებისათვის. ამგვარი წესი გრამატიკის გამოყენებას უთუოდ გულისხმობს.

რუსული ენის შესწავლა ქართულ სკოლებში ამ გზით წარმოებს. ამავე გზით მიმდინარეობს მეტწილად ქართული ენის შესწავლაც რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ სკოლებში... ქართული ენის შესწავლა ბავშვს სკოლაში უხდება.

ახალი ენის სწავლება რაციონალურად ვერ იწარმოებს, თუ სათანადო ანგარიში არ გავუწიეთ იმ ენის თვისებებს, რომელზედაც ბავშვი ლაპარაკობს, როგორც დედაენაზე; პედაგოგიურად აუცილებელია ახალი ენის მასალა მივაწოდოთ გარკვეული თანდათანობით: ჯერ ის მოვლენები, რომლებიც მოწაფის დედა-ენაში გვაქვს ანდა მასთან ყველაზე ახლოა, შემდეგ— ისეთი მოვლენები, რომლებიც უფრო თავისებურია...

გავრცელებულია აზრი, თითქოს ერთი ენა მეორისაგან იმით განსხვავდებოდეს, რომ ერთ ენაზე საგანს ერთი სახელი ჰქვია, მეორეზე კი—სხვა (ქართულად — „სახლი“, რუსულად — „დომ“, ქართულად — „წიგნი“, რუსულად — „კნიგა“) და მეორე: ერთ ენაში შეიძლება ისეთი ბგერები გვქონდეს, რომლებსაც მეორე ენაში ადგილი არა აქვს (ვთქვათ, ქართ. წ, ჭ, ყ,...რუს. ы...).

ეს განსხვავება თვალსაჩინო და ცხადია, მაგრამ შედარებით ადვილად მოსავლელი. იგი არსებითად ტექნიკური ხასიათისაა.

მაგრამ არის სხვაგვარი განსხვავებაც, ნაკლებ თვალსაჩინო, ერთი შეხედვით უჩინარიც, მაგრამ გაცილებით უფრო არსებითი: სხვაობა ენის აგებულებაში (სტრუქტურაში) და ე. წ. სამეტყველო ფსიქოლოგიაში; მათ შორის შინაგანი კავშირია.

ორიოდე მაგალითი იკმარებს იმის გასარკვევად, თუ რას გულისხმობს ეს.

ქართულად ჩვეულებრივია გამოთქმები: ამა და ამ ადგილას „ქარი იცის“... ავადმყოფს „გული წაუვიდა“... „სირცხვილი ჭამა“... „გული მოუვიდა“... (შეადარე გურული: „ქუჩი მოუვიდა“).... „თავი დაიმცირა“... „ყური დამიგდეთ!“... და მრავალი სხვა...

საკმარისია ეს გამოთქმები სიტყვა-სიტყვით გადავთარგმნოთ რუსულზე ან რომელიმე ევროპულ ენაზე, რომ ყოვლად უცნაური (მეტი რომ არა ვთქვათ!) წინადადებები გამოგვივიდეს („ვეტერ ზნაეტ“... „სერდცე უშლო უ ნევო“... „სერდცე პრიშლო კ ნემუ“, „გოლოვუ სვაიუ უმენშილ“... „ბროსტე მნე უხო...). (ამგვარ გამოთქმებს არაიშვიათად გასართობად თარგმნიან სიტყვა-სიტყვით).

მსგავსი შემთხვევები გვხვდება ყველა ენაში. აქ მათ ვერ გამოვუდგებით. რას გვეუბნება ეს? ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე სიტყვები ყოველთვის არ გამოდგება. აზრი ერთია, გადმოსაცემი სიტყვები სხვადასხვა.

რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე როდია: მრავალი გამოთქმა ერთი ენისა იმავე სიტყვებისაგან შედგება სხვა ენაშიც, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი და იგივე აზრი ერთი და იმავე სიტყვებით გადმოიცემა სხვადასხვა ენაში, ეს სიტყვები შეიძლება **სხვადასხვა ფორმით** იყოს ნახმარი.

შეადარე, მაგალითად, „მოწაფეს უყვარს სკოლა“ და „უჩენიკ ლიუბიტ შკოლუ“... სიტყვები იგივეა, მაგრამ სხვადასხვა ფორმაში: „მოწაფეს“ — მიცემითი ბრუნვაა, „უჩენიკ“—სახელობითი; „სკოლა“ — სახელობითშია, „შკოლუ“—ბრალდებითს ბრუნვაში. წინადადებათა შინაარსი რუსულშიც იგივეა, რაც ქართულში, „აზრთა წყობა“ განსხვავებულია; ქართული გამოთქმის ბადალი იქნებოდა „უჩენიკუ ლიუბიტსია (ლიუბა) შკოლა“, მაგრამ ეს ბუნებრივი რუსული ფრაზა არ არის.

საკმარისია ამგვარ მოვლენებს ანგარიში არ გავუწიოთ და ისე ვთარგმნოთ გამოთქმები, რომ მივიღებთ უხეშ **სინტაქსურ** შეცდომებს; ამის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია ტრამვაის ზოგიერთი თამამი კონდუქტორის ჩიხიანი წარმოძახილი: „კომუ ნე იმეიტ ბილეტ?“ — რუსული სიტყვებით თქმული ქართული წინადადება: „ვის არა აქვს ბილეთი?“.

ეგევე მიზეზი იწვევს ქართველ მოწაფეთა რუსულ მეტყველებაში გავრცელებულ შეცთომებს: „ტრი კნიგა“, „პიატ ტავარიშჩ“ (შეადარე ქართ. „სამი წიგნი“, „ხუთი ამხანაგი“): რუსული სიტყვები იმავე ფორმითაა ნახმარი, რაც შესაფერ ქართულ სიტყვებს აქვს.

არც თუ იშვიათად ამგვარ შეცთომებს იწვევს სათანადო ფორმის უქონლობა: შეადარე, მაგალითად, „ცივი წყალი“ — „ხალოდნი ვადა“: ქართული „ცივი“ სქესის მიხედვით არ იცვლება...

რუსულად ამბობენ: „კუპილ კნიგუ“, ქართველი მოწაფე შეცთომით ამბობს: „კუპილ კნიგა“. რატომ? იმიტომ, რომ ქართულს არა აქვს ბრალდებითი ბრუნვა („ვინიტელნი“) და მის მაგივრად ხან სახელობითს ხმარობს, ხან—მიცემითს („კუპილ კნიგუ“, „იყიდა წიგნი“, „პაკუპაეტ კნიგუ“ — „ყიდულობს წიგნს“)....

პირუკუ, რუსი ბავშვისათვის ჩვეულებრივია ასეთი შეცთომა: „მოწაფე დაწერა“ (ნაცვლად „მოწაფემ დაწერა“), „მოწაფემ“ მოთხრობითი ბრუნვა, რუსულს არ გააჩნია, მის ადგილას რუსული ისევ სახელობითს ხმარობს („მოწაფე წერს“, „მოწაფემ დაწერა“ — „უჩენიკ პიშეტ“, „უჩენიკ ნაპისალ“...).

ამგვარი განსხვავება როგორც ცნობილია, **მორფოლოგიური** და **სინტაქსური** ხასიათისაა.

ახალი ენის შესწავლა ნიშნავს არა მარტო ფონეტიკისა და ლექსიკონის შეთვისებას, არამედ მორფოლოგიურ, სინტაქტურ და სტილისტიკურ მოვლენებში გარკვევასაც.

ამ მხრივ ენებს შორის მეტ-ნაკლები განსხვავება დასტურდება, მაგრამ **არ არსებობს ორი ენა**, რომელსაც **სავსებით ერთნაირი მორფოლოგია, სინტაქსი და სტილი ჰქონდეს**, სხვანაირად რომ ვთქვათ, სავსებით **ერთნაირი სტრუქტურა** და **ერთნაირი სამეტყველო ფსიქოლოგია** ახასიათებდეს.

ერთი მოაზროვნე ამბობდა: „ყოველი ენა თავისებური მსოფლმხედველობააო“. შეიძლება ეს გადაქარბებული იყოს, მაგრამ შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ენათა აგებულების განსხვავება განსაზღვრავს სათანადო გრამატიკათა განსხვავებას და რომ „ერთი ენის გრამატიკის მიხედვით ისევე შეუძლებელია მეორე ენის თვისებებში გარკვევა, როგორც შეუძლებელია ერთი ქალაქის გეგმით მეორე ქალაქის დათვალიერება“.

ზემოთქმულიდან გარკვეული დასკვნები გამომდინარეობს ქართული ენის სწავლებისათვის არაქართულ სკოლებში: ქართული ენის მოვლენები უნდა დალაგდეს იმ თანამიმდევრობით, რომელსაც განსაზღვრავს ქართული ენის აგებულების შეფარდება მოწაფის დედა-ენის აგებულებასთან.

ავიღოთ ქართული ზმნის ისეთი ნიშანდობლივი თვისება, როგორიცაა ორპირიანობა: ერთდროულად აღნიშვნა ზმნაში სუბიექტისაც და ობიექტისაც, ე. ი. იმ პირისაც, რომელიც მოქმედებს და იმ პირისაც, რომელზეც ეს მოქმედება ეხება: მიყვარს — მე ის... მიყვარხარ — მე შენ... ვუყვარვარ მე მას... შემეკითხა — მე ის... შეგეკითხე—მე შენ... შევეკითხე — მე მას...

არც რუსულში, არც სომხურში, არც ოსურში ზმნა ობიექტს არ აღნიშნავს; რუსი, სომეხი, ოსი მოწაფისათვის ქართული ზმნის ამ თავისებურების დაძლევა რთულზე-რთული საქმეა. მშობლიურს ენაზე სათანადო მოვლენას ის ვერ იპოვის; სამაგიეროდ, აფხაზი ბავშვისათვის ეს არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს: აფხაზური ზმნა ამ მხრივ ქართულ ზმნაზე უფრო შორს მიდის...

ყოველივე თქმული ცხადყოფს ერთ რასმე: თუ გვინდა ქართული ენის სახელმძღვანელომ ანგარიში გაუწიოს მოწაფის დედა-ენის თავისებურებებს, ცალკე უნდა შედგეს სახელმძღვანელოები სხვადასხვა ეროვნების სკოლებისათვის. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება შედგენილ იქნეს ენათმეცნიერულად დასაბუთებული, პედაგოგიურად სალ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმძღვანელო.

ცენტრალური კომიტეტის მითითებით განსახკომი შეუდგა ამგვარი სახელმძღვანელოების შედგენას სწავლების პირველი წლისათვის. უკვე გამოიცა: 1. „ქართული ენის სახელმძღვანელო“ ცალ-ცალკე რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური სკოლებისათვის.

ეს სახელმძღვანელოები სალ პრინციპზეა აგებული; სკოლის პრაქტიკა გამოარკვევს, რამდენად მოუხერხდათ სახელმძღვანელოთა ავტორებს ამ სალი პრინციპის სათანადოდ გამოყენება, მაგრამ ერთი ნაკლი უკვე ამთავითვე შეინიშნება: რუსული და სომხური სკოლების სახელმძღვანელოში საანბანო ნაწილი სრულიად შეუფერებელი შრიფტითაა აწყობილი ტექრედაქტორის უპასუხისმგებლობის წყალობით.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია: მიმართულება სწორია, საძირკველი ჩაყრილია.

განსახკომი სწორად მოიქცა, რომ ამ თავითვე უკვე შეუდგა მუშაობას სწავლების მეორე და მესამე წლისათვის ცალ-ცალკე სახელმძღვანელოთა შესადგენად.

ორიოდე სიტყვა მასწავლებლის შესახებ. ვინ უნდა ასწავლიდეს ქართულ ენას არაქართულ სკოლებში? რა უნდა მოეთხოვოს არაქართული სკოლის ქართული ენის მასწავლებელს?

ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნაცა და მოწაფის დედა-ენის ცოდნაც.

მოწაფის ენის არმცოდნე მასწავლებელი ქართული ენისა სათანადოდ ვერ გამოიყენებს სახელმძღვანელოს, ვერ გაამახვილებს ყურადღებას იმ მოვლენებზე, რომელთა დაძლევა მოწაფისათვის უფრო ძნელია, ვერ გაითვალისწინებს მოწაფის მიერ დაშვებულ შეცთომათა ნამდვილ მიზეზებს, — მოკლედ, ასეთი მასწავლებელი თავის დანიშნულების სიმაღლეზე ვერ იდგება (სავსებით ისევე, როგორც ქართულ სკოლაში — რუსული ენის მასწავლებელი, რომელმაც ქართული არ იცის). ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

მასწავლებელთა მომზადებითა და სათანადო სახელმძღვანელოთა დამუშავებით შეიქმნება ის პირობები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სადირექტივო ორგანოთა დადგენილების რეალიზაციას ქართული ენის არაქართულ სკოლებში სწავლების შესახებ.

ქართულ სალიტერატურო ენას თხუთმეტი საუკუნის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ქართულ ენაზე არასოდეს შექმნილა იმზომი პროდუქცია, — მხატვრული თუ სამეცნიერო, — რამდენიც იქმნება და შეიქმნა საბჭოთა პერიოდში; ამ პროდუქციას არასოდეს ჰყოლია იმდენი მომხმარებელი, რამდენიც მას დღეს სოციალისტურ საქართველოში ჰყავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსთაველისა და ი. ჭავჭავაძის ენა არასოდეს ყოფილა ისე ძლიერი, როგორც დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ეს შემთხვევითი როდია; ამის საფუძველია ის აღორძინება, რომელსაც განიცდის საბჭოთა კავშირის ყოველი ხალხისა და, მათ შორის, ქართველი ხალხის კულტურა ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის შედეგად, ხალხთა სტალინური მეგობრობის შედეგად. ამის ერთერთი გამოხატულებაა ზრუნვა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლებისათვის, როგორც ქართულს, ისე არაქართულ სკოლებში.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ფოთი, 20 დეკემბერი (საქდესი). ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებლის ამხ. ვ. კაკუჩაიას საანგარიშო მოხსენება პარტიის ქალაქკომის მუშაობის შესახებ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ნაკლოვანებებს პარტიულ მუშაობაში და შეჰქონდათ წინადადებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პარტიული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ჯაში,** რომელიც გამოვიდა სიტყვით. ამხ. ჯაშმა დასახა ქალაქის პარტორგანიზაციის მუშაობის მთავარი ამოცანები, ხაზგასმით აღნიშნა განსაკუთრებული მნიშვნელობა სისტემატური, ყოველდღიური მუშაობისა პარტიული პროპაგანდის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის.

პლენუმმა მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები. პლენუმმა პარტიის ქალაქკომის პირველი მდივნის მოვალეობათა შესრულებისაგან გაანთავისუფლა ამხ. ვ. კაკუჩაია სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით. პლენუმმა გაანთავისუფლა აგრეთვე პარტიის ქალაქკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან ამხ. ი. გაბუნია სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით.

საქ. კ. პ. (ბ) ქალაქკომის პირველი მდივნის მოვალეობათა აღმსრულებლად არჩეულია ამხ. ნ. გაბუნია.

განვახორციელოთ სარაიონო პარტიული კრების დადგენილება

(სტალინირი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

1938 წლის 16-18 მაისს საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიონულ პარტიულ კრებაზე სიტყვებით გამოსული კომუნისტები აღნიშნავდნენ პარტრაიკომის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, იმას, რომ სუსტი იყო პარტიის რიგების ზრდა, მოწინავე ადამიანთა პარტიაში მიღებას აფერხებდნენ წინათ რაიკომში მოკალათებული, ამჟამად უკვე გამომჟღავნებული მტრები ხალხისა. ზოგიერთ პარტორგანიზაციაში (სოფ. გრომის, ხოდის და სხვ.) პარტიის რიგებში არცერთი კაცი არ იყო მიღებული. სუსტი იყო პარტიაში ახლად მიღებულთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, ნაკლებად ხდებოდა პარტიის რიგითი წევრების, ახალგაზრდა კადრების დაწინაურება სახელმძღვანელო სამუშაოზე, არადამაკმაყოფილებელი იყო საგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობა და სხვ. კომუნისტებს შემოჰქონდათ წინადადებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

სტალინირის პარტრაიკომმა (რაიკომის მდივანი—ამხ. ა. ცხოვრებოვი) ბოლშევიკურად მოჰკიდა ხელი რაიონულ პარტიულ კრებაზე კომუნისტების მიერ შემოტანილ წინადადებათა საფუძველზე მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას; ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა პარტიის რიგების ზრდა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული, საქმით ყოველმხრივ შემოწმებული ამხანაგების ხარჯზე. მაგალითად, სოფელ გრომის პირველადს პარტორგანიზაციაში მაისიდან დღემდე პარტიაში მიიღეს 16 ამხანაგი, სათიხარის პარტორგანიზაციაში 19 ამხანაგი პარტკანდიდატად და 8 — წევრად, მაშინ როდესაც მთელ რაიონში მაისში მიღებული იყო პარტკანდიდატად 19, წევრად კი არცერთი კაცი არ იყო გადარიცხული. პარტიაში ახალ წევრთა მიღების დაწყებიდან დღემდე სტალინირის რაიონში 132 კაცი მიღებულია პარტწევრობის კანდიდატად და პარტწევრად გადარიცხულია 38 ამხანაგი.

გაუმჯობესდა პარტიის რიგებში ახლად მიღებულებთან მუშაობა. ისინი გამოყენებული არიან აგიტატორებად, წამკითხველებად და სხვ. კარგად მუშაობენ პარტიის რიგებში ახლად მიღებული ამხანაგები, აგიტატორები ლ. ბიბილოვი, ა. ჩოჩიევი და სხვები.

ხელმძღვანელ საპასუხისმგებლო სამუშაოზე დააწინაურეს მთელი რიგი ამხანაგები. მაგალითად, სოფელ ბერულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. რ. ბერუაშვილი დაწინაურებულია სტალინირის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, ქურთის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ჯელაძე დაწინაურებულია სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს წევრად და ა. შ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომს მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ზოგიერთი ნაკლოვანებები, კომუნისტების მიერ კრებაზე შემოტანილი წინადადებები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის განხორციელებული.

არადამაკმაყოფილებელია მუშაობა პარტიაში ქალთა მიღების მხრივ. მთელ რაიონში დღემდე მიიღეს მხოლოდ 15 ქალი. რაიკომის ბიურო ნაკლებად ზრუნავდა სააგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებაზე; ნაკლები ყურადღება ექცევა მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებს. მაგალითად, სოფ. ვილდის და დამპალეთის საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციებში სუსტია პარტიის რიგების ზრდა. სოფ. ვილდის პირველადს პარტორგანიზაციაში დღემდე პარტიაში არცერთი კაცი არ მიუღიათ.

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომმა უნდა უზრუნველჰყოს პარტიულ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორება და პარტიულ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე.

კ. ტრაპაიძე

ანხორციელებენ კომუნისტების პრაქტიკულ წინადადებებს

(გორი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

რვა თვის წინათ გორის საკონსერვო ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ახალ პარტკომს მთელი რიგი ღონისძიებები დაუსახა. ამ ღონისძიებებში კომუნისტები მოითხოვდნენ კომკავშირთან და თანამგრძნობებთან მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, ბოლშევიკური ხელმძღვანელობით სტახანოვური მოძრაობის გაფართოებას, პარტდავალებების სწორად განაწილებას და შესრულების შემოწმების სისტემატურად მოწყობას და სხვ.

ახალი პარტკომი შეუდგა კომუნისტების მიერ მიცემულ მითითებათა შესრულებას. სწორი არ იქნება, ვთქვათ, თითქოს ყველაფერი გაკეთებული იყოს, მაგრამ ახალმა პარტკომმა შესძლო ძირითადის გაკეთება მიღებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. რით დაიწყო მუშაობა პარტკომმა?

ყველა კომუნისტებს შორის განაწილებულ იქნა პარტიული დავალებები. აგიტატორობა, საამქროებში კედლის გაზეთების რედაქტორობა, გაზეთების გავრცელება - მიწოდების კონტროლი და სხვ. რაკი დავალებები განაწილდა, დაწესდა შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, ამან გამოაჩინა პარტდავალებათა აქტიურად შემსრულებლები. ქარხანაში უკვე ცნობილი გახდნენ, როგორც კარგი აგიტატორები — ა. მეშეშიანი (მთავარი საამქრო), კ. შენგელია (სარემონტო საამქრო), გ. შალამოვი (სათუნუქე საამქრო), პ. ჩარუევი (ნედლბაქანი).

სისტემატური, ბოლშევიკური აგიტაცია გაჩაღდა ქარხნის მუშებს შორის. ამის შედეგად დაიწყო სტახანოველ მუშათა სწრაფვა პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფში შესასვლელად. გაიზარდა თანამგრძნობთა ჯგუფი; თუ აპრილში თანამგრძნობთა ჯგუფის წევრი იყო 5, ახლა არის 37. თანამგრძნობთა ჯგუფში შევიდნენ სტახანოველები მ. ხოხაშვილი (მზა პროდუქციის საწყობი), ალ. იარაღაშვილი (სარემონტო საამქროს ზეინკალი) და სხვ.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ უზრუნველჰყო პარტიის რიგების ზრდა. პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია 42 კაცი, მათ შორის პირველი კატეგორიით 25; აქედან 13 გადარიცხულია საკ. კ. პ. (ბ) წევრად. პარტიის რიგების ზრდა ხდება ქარხნის სტახანოველი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკების ხარჯზე.

გაუმჯობესდა სტახანოველებზე ზრუნვა; ქარხკომმა მოაწყო სტახანოველთა რამდენიმე თათბირი და შეკრება; მოხდა გამოცდილების გაზიარება. შედეგი ისაა, რომ თუ წინათ ქარხანაში 80 სტახანოველი ითვლებოდა, ახლა არის 160 სტახანოველი და 50 დამკვრელი; სტახანოველებმა და დამკვრელებმა დიდი როლი ითამაშეს წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში. ქარხანამ წლიური გეგმა ერთი თვით ადრე 101,8 პროცენტით შეასრულა.

საამქროებში კედლის გაზეთების მუშაობა სუსტად იყო დაყენებული. პარტკომმა შეამოწმა რამდენიმე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის საქმიანობა და დაუსახა მათ სათანადო ღონისძიებანი. ამის შემდეგ კედლის გაზეთების—„სტახანოვური გზით" (რედაქტორი ა. მეშეშიანი), „სტახანოველი შემკეთებელი" (რედაქტორი მ. ჯებისაშვილი), „მუშის აზრი" (რედაქტორი ელენე ლეკიშვილი) მუშაობა გაუმჯობესდა; გაზეთები გამოდიან ყოველთვიურად, ენერგიულად იბრძვიან საამქროს მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

29 ნოემბერს ქარხნის პარტორგანიზაციის კრებაზე მოისმინეს პარტკომის მდივნის მოადგილის შ. ცერცვაძის მოხსენება იმაზე, თუ როგორ ხორციელდება კომუნისტების მიერ შემოტანილი პრაქტიკული წინადადებები. კრებაზე აღინიშნა, რომ ქარხანაში თავდაცვითი მუშაობა ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული. თავდაცვა - ავიაქიმის წევრი გახდა 200 მუშა, მაგრამ მათთვის ჯერ არ მოუწყვიათ სასროლო წრეები. ამ კრებაზე გამომჟღავნდა, რომ ზოგიერთი პარტწევრი დირექციის ბრძანებას და თვით პარტკომის დავალებას არ ასრულებს. მაგალითად, კომუნისტ ოლია ხარიტონოვას, რომელიც მზაპროდუქციის საწყობში ბრიგადირად მუშაობდა, წარმოების ინტერესისათვის დირექციამ მოსთხოვა ნედლბაქანში სამუშაოდ გადასვლა; ამაზე პარტკომმაც გამოიტანა დადგენილება, მაგრამ ხარიტონოვამ დავალების შესრულება არ ინება. ბოლოს კი, როცა კომუნისტებმა ხარიტონოვას მოქმედება დაჰგმეს, იგი ძლიერ დაგვიანებით გადავიდა სამუშაოდ ნედლბაქანში.

გორის საკონსერვო ქარხნის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები უდიდესი ინტერესით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". ამ დადგენილების მიხედვით საკონსერვო ქარხნის პარტორგანიზაციაში იწყებენ პარტიული პროპაგანდის მთლიანად გარდაქმნას.

უნდა ვთქვათ, რომ პარტკომი (მდივანი — გ. ნადირაშვილი) პარტიულ კრებას ყოველთვის გულდასმით არ ამზადებს. 7 დეკემბერს რომ ღია პარტიული კრება ტარდებოდა, კომუნისტებმა ეს იმ დღეს გაიგეს.

საკონსერვო ქარხნის პარტკომმა ეს და მსგავსი ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას.

ს. ყურაშვილი

15 დეკემბერს სტალინის რაიონის პარტიული განათლების სახლში შესდგა ამხ. ს. ნ. ქუთათელაძის ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის თემაზე „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია".
სურათზე: ისმენენ ლექციას.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ბიბლიოგრაფია

აკ. ფაღავა — „ლადო მესხიშვილი"

„ფედერაციის" გამოცემა 1938 წ.

ძნელია ქართველი მსახიობის შესახებ მონოგრაფიის წერა, იმიტომ რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი კრიტიკული წერილი, სადაც დეტალურად იყოს გარჩეული მსახიობის თამაში და ოსტატობა. მსახიობის შესახებ მონოგრაფიის დამწერი თვითონ უნდა იყოს მნახველი მსახიობისა სცენაზე და იმავე დროს თეატრალური ხელოვნების კარგი მცოდნე. ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული რეცენზიებიდან ძნელია აღადგინო მსახიობი თავისი გრიმითა და მიმიკით.

რუსეთში ბელინსკიმ მრავალი თაობისათვის უკვდავჰყო ტრაგიკოსი პავლე მოჩალოვი და ბევრი სხვა არტისტი. მსახიობის მიერ განსახიერებული ტიპის ამომწურავი შეფასება ძველ ქართულ თეატრალურ კრიტიკას ნაკლებად მოეპოვება. ამ მხრივ წარსულში კრიტიკოსები ყოველთვის უმწეობას იჩენდნენ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სცენაზე ჩაიარა მრავალმა ოსტატმა და მათ შორის ლადო მესხიშვილმა.

აკაკი ფაღავას ეს სიძნელე დაუძლევია და ლადო მესხიშვილის შესახებ ფრიად საგულისხმო ლიტერატურული ნაშრომი მოუცია. ამ მონოგრაფიის სახით ჩვენ პირველად გვეძლევა საქართველოს დიდი სახალხო არტისტის ლადო მესხიშვილის თეატრალური მოღვაწეობის ყოველმხრივი სოციალურ-ესთეტიკური ანალიზი, დიდძალი ლიტერატურული მასალის და პირველადი დოკუმენტების შესწავლისა და მათი თეორიული განზოგადების ნიადაგზე. ეს შრომა უეჭველად ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის შედეგს წარმოადგენს და სერიოზულ მეცნიერულ ნაწარმოებად გვევლინება.

ავტორი იჩენს თეატრის, დრამატურგიისა და არტისტული ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის ღრმა ცოდნას. მას სწორად აქვს გაგებული თეატრალური კრიტიკის პრინციპები და თეატრის დიდი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფუნქცია ჩვენი საზოგადოების განვითარების პროცესში. ყოველივე ეს აძლევს მას საშუალებას აღადგინოს ნამდვილი რეალური სახე ლადო მესხიშვილისა, როგორც დიდი აქტიორისა, რეჟისორისა, სასცენო შემოქმედების ნიჭიერი ორგანიზატორისა და ახალი არტისტული კადრების აღმზრდელისა. აკაკი ფაღავამ ამ შრომით ნათლად გამოავლინა ლადო მესხიშვილის ისტორიული როლი ქართული თეატრის განახლებისა და განვითარების საქმეში, გამოავლინა ის განძი, რაც მესხიშვილმა შეიტანა საერთოდ თეატრალურ ხელოვნებაში.

მკითხველის თვალწინ აღიმართება არა მარტო ჰამლეტის, ფრანც მოორის, ურიელ აკოსტას, გაიოზ ფაღავას, ხიმშიაშვილის და მრავალ სხვა შესანიშნავ ნიღაბთა შემოქმედი, არამედ მგზნებარე არტისტი-ტრიბუნი, არტისტი - რევოლუციონერი, არტისტი თავისი კლასის დაუნდობელი მამხილებელი და კრიტიკოსი, რომელიც მართლაც „აზნაურობას სამარეს უთხრიდა".

ოხრანკის აგენტებს ქართული სცენის დიდი მოღვაწე ლადო მესხიშვილი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ დაყენებული. აი რას ვკითხულობთ ჟანდარმთა სამმართველოს მიწერ-მოწერაში: „საიდუმლოდ. ა-წ. 25 აგვისტოს ქუთაისის ქალაქის თეატრში ქართული დასის არტისტების წარმოდგენის დროს მეორე აქტში სცენიდან არტისტმა ალექსი-მესხიშვილმა წარმოსთქვა ქართულად სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა მთავრობასთან ბრძოლისაკენ. სიტყვის დასასრულს ხუთჯერ წარმოსთქვა: „ბრძოლა ერისა", „ბრძოლა ხალხისაო". წარმოდგენის შემდეგ ხალხი რევოლუციური სიმღერებით („აღსდეგ მუშავ" და სხვ.) დაიშალა! პოლკოვნიკი ნიკოლაევი".

თუმცა მონოგრაფიაში მთლიანად არ არის გაშუქებული ლადოს მოღვაწეობა რუსეთში, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ ამის შესახებ ნაკლები ცნობები მოიპოვება, აკ. ფაღავას წიგნი მაინც დიდ დახმარებას გაუწევს საბჭოთა საქართველოს თეატრის მუშაკთ კლასიკური მემკვიდრეობის კანონზომიერად გამოყენებაში სოციალისტური სცენის განმტკიცებისათვის.

ა. სიგუა

ჩვენ გვწერენ

მეტი ყურადღება აფთიაქების მუშაობას

ყველა აფთიაქი პირნათლად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ხშირად აფთიაქის მუშაკები უგულვებელჰყოფენ მომხმარებელთა მოთხოვნებს.

სამტრედიის რაიონის გომის სოფლსაბჭო 9 სოფელს აერთიანებს, მაგრამ გომის აფთიაქი შეუფერებელ შენობაში არის მოთავსებული. სახურავი დაზიანებულია, რამდენიმე ადგილას ჩამოდის წვიმა. მოსალოდნელია წამლებისა და სხვა ინვენტარის დაზიანება. როგორც წესი, წამლების საწყობი განცალკევებული უნდა იყოს იმ ოთახიდან, სადაც წამლები მზადდება. აქ კი მხოლოდ ერთი ოთახი გააჩნიათ. ძლიერი საწამლავი ნივთიერება და სხვა სახის წამლები ერთ ბინაშია მოთავსებული.

ეს აფთიაქი არც ყველა სახის წამლებით არის უზრუნველყოფილი. ასე, მაგალითად, 12 დეკემბერს აფთიაქს არ გააჩნდა გემატოგენი, რკინის პრეპარატები, ჭვავის რქის გამონაწვლილი და სხვ.

კარგი მდგომარეობა არც სამტრედიის წითელი ჯვრის აფთიაქში (გამგე ამხ. პ. გრიგოლია) გვაქვს. აქ ბინით უზრუნველყოფილი არიან, მაგრამ არა აქვთ ყველა სახის წამლები, მაგალითად: დიურეტინი, ვალიდოლი, თიოკოლი, კრეოზოტი, სუნეგეს პრეპარატები და სხვ. აკლიათ აგრეთვე შესახვევი მასალაც. აქ არც კადრებით არიან უზრუნველყოფილი. ჯერ კიდევ არა ჰყავთ რეცეპტარი. ამ მოვალეობას შეთავსებით ასრულებს ამხ. დიდიძე, რომელიც ხშირად დროის უქონლობას უჩივის და თავის მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებს. ძლიერი საწამლავი ნივთიერებანი არ ინახება დალუქულ შკაფში, რაც ყოვლად დაუშვებელია.

კარგ პირობებში არც სამტრედიის მთავარ აფთიაქს უხდება მუშაობა. აფთიაქის შენობა ცუდ ადგილას არის მოთავსებული, აფთიაქს 5 ოთახი უჭირავს. წყლის გამოსახდელად, საწვავი მასალის შესანახად და გამგის საცხოვრებლად (გამგე აუცილებლად აფთიაქის შენობაში უნდა ცხოვრობდეს) საჭიროა კიდევ სამი ოთახი. 1936 წელში სამტრედიის რაიაღმასკომმა ხელშეკრულება გააფორმა აფთიაქთან. აფთიაქის შენობა საუკეთესოდ უნდა მოეწყოთ, მაგრამ ხელშეკრულება ქაღალდზე დარჩა, მის შესასრულებლად არავის უზრუნია.

ქუთაისის სააფთიაქო სამმართველო გეგმით გათვალისწინებულ წამლებს არ აწვდის აღნიშნულ აფთიაქს. ამჟამად აკლიათ ბორის მჟავა, დიურეტინი და სხვ.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქალაქ ლანჩხუთის აფთიაქში. იგი უზრუნველყოფილი არ არის ყველა სახის წამლებით. აფთიაქი იკეტება საღამოს 9 საათზე, გამონაკლის შემთხვევაში 10 საათზე. ხშირია შემთხვევა, როცა მომხმარებლებს აფთიაქი დაკეტილი ხვდებათ. ასეთივე მდგომარეობაა რაიონის სხვა აფთიაქებშიც.

ქუთაისის სააფთიაქო სამმართველოს უფრო მეტი მუშაობის ჩატარება მოუხდება აღნიშნულ აფთიაქებში ნორმალური მუშაობის დაყენებისათვის.

მ. თევზაძე.

გამფლანგველებს მფარველობს

დიდიხანი არ არის, რაც ალ. მანგიაშვილი დროებით დანიშნეს კავშირგაბმულობის დუშეთის რაიონის განყოფილების გამგედ. მას შემდეგ სოფლსაბჭოებთან არსებულ საფოსტო განყოფილებებში მუშაობა მთლად აირ-დაირია, ბევრ ხელის მომწერლებს ჟურნალ-გაზეთებს ან სულ უკარგავენ ან დროზე არ აწვდიან. სხვადასხვა გზავნილება არადანიშნულებისამებრ იგზავნება. გახშირდა სახელმწიფო თანხების გაფლანგვა, მტაცებლობა. ყველა ასეთ შემთხვევას მანგიაშვილი გულდამშვიდებით უყურებს და ზოგჯერ თვითონაც მონაწილეობს.

სოფ. მაღაროსკარის საფოსტო განყოფილების თანამშრომელმა გ. ხარანაულმა თხუთმეტ დღეში 1.400 მანეთის გაფლანგვა მოასწრო. როგორც გამფლანგველი, ის დაუყოვნებლივ დააპატიმრეს, მაგრამ მას გამოუჩნდნენ „კეთილი ძიები" და სასწრაფოდ გაანთავისუფლეს.

გამფლანგველ გ. ხარანაულის მაგიერ გაგზავნეს კომკავშირელი ქალი ბ. ჰელიძე, რომელსაც სათანადო კურსები ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ იგი მანგიაშვილმა რატომღაც უარით გაისტუმრა და ვიღაც ყალთაბანდი მ. ბერიანიძე მიიღო.

გაიძვერა ბერიანიძე მთელი თვე ისე მუშაობდა, რომ მისი ვინაობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. არ იცოდნენ მისი ბინის მისამართი და ბრძანებაშიაც არავის არსად გაუტარებია. გავიდა თხუთმეტი დღე, მ. ბერიანიძემ მიიღო კუთვნილი ხელფასი, რაც ძალიან ეცოტავა. მეორე ნახევრის ხელფასისათვის აღარ მოუცდია. ერთ მშვენიერ დღეს გაიტაცა ფოსტის განყოფილებაში შემოსული 12.000 მანეთი და მიიმალა. კავშირგაბმულობის დუშეთის რაიგანყოფილების გამგე ალ. მანგიაშვილი და სხვები დღესაც ელოდებიან, მ. ბერიანიძე 12.000 მანეთს მოიტანს და სხვა ანგარიშებსაც გაასწორებსო, მაგრამ ამაოდ — ბერიანიძე არსად სჩანს.

მიმდინარე წლის 3 ივნისს ბარისახოს ფოსტის განყოფილებიდან დუშეთის ფოსტაში გადმოგზავნილ იქნა დალუქული საფულბარათო ტომარა 2.000 მანეთით. გავიდა რამდენიმე დღე, ბარისახოდან ალ. მანგიაშვილს მოსთხოვეს დასტური, მიიღო თუ არა 2000 მანეთი. მანგიაშვილი „გაბრაზდა". — „როგორ თუ მე, პატიოსან კაცს, შარსა მდებთ, მართალია, მივიღე დალუქული ტომარა, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდაო". მანგიაშვილი ყველას პასუხისგებაში მიცემით დაემუქრა, მუქარა შვიდი დღის შემდეგ გაახსენდა, როდესაც 2000 მანეთის მიღების დასტური მოსთხოვეს. მანამდე კი აზრადაც არ მოსვლია შემოწმებინა, რატომ გამოგზავნეს დალუქული ცარიელი ტომარა.

სოფ. მჭადიჯვრის ფოსტის განყოფილების თანამშრომელმა მ. მახანაშვილმა ერთ დღეს სალაროში რატომღაც 10.000 მანეთი დასტოვა, რაც ყოვლად დაუშვებელია, ეს ამბავი „გაუგიათ ქურდებს", დაეცნენ სალაროს და მხოლოდ 1.100 მანეთი (!?) გაიტაცეს. მეორე დღეს მ. მახანაშვილმა მთელ სოფელს აუწყა ბოროტმოქმედთა ოინები. ხალხი გაკვირვებას გამოსთქვამდა. „როგორი ქურდები ყოფილან, 1.100 მანეთი წაუღიათ და 8.900 მანეთი სალაროში „დაუტოვებიათო". დღემდე ეძებენ ამ „პატიოსან" ქურდებს და ვერ მიუგნიათ. ჩვენ დავასკვნით, რომ ქურდი თვითონ მ. მახანაშვილია, რადგან მას გარდა ამისა 1500 მანეთი კიდევ სხვა აქვს გაფლანგული.

დასახელებული ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ საქ. კავშირგაბმულობის სამმართველომ დეტალურად შეამოწმოს დუშეთის რაიონის ფოსტის განყოფილებები და თვით ალ. მაგიაშვილის „ნამოღვაწარი", რათა დაუყოვნებლივ სათანადო პასუხი აგონ სახელმწიფო თანხების გამფლანგველ - მტაცებლებმა და მათმა ხელის შემწყობებმა.

მ. ზრემიძე.

დოც. გ. თვალთვაძე

პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის საკითხისათვის

პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის საკითხი მეცნიერებაში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის ჯეროვნად გადაწყვეტა კი დამოკიდებულია ციური სხეულების ბუნებისა და თვისების ზედმიწევნით შესწავლაზე. ასტრონომიამ უკანასკნელ ხანებში დიდ შედეგებს მიაღწია მნათობთა არსის შესწავლის საქმეში. განსაკუთრებით ეს შეეხება მზის სისტემას, იმ პატარა ახალშენს, რომელსაც დედამიწა განეკუთვნება და რომლის ენერგიის მთავარ წყაროს მზე წარმოადგენს. მზე თავის ყველა პლანეტებთან ერთად მრავალჯერ უფრო ნაკლებია მთელ რიგ იმ ვარსკვლავებზე, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ წერტილების სახით ცის ფონზე. მზის სისტემის განუყრელ თანამგზავრს წარმოადგენს ჩვენი დედამიწა და ამდენად მისი დეტალურად შესწავლა გადაუდებელი ძირითადი მნიშვნელობის ამოცანაა.

მთელმა რიგმა დაკვირვებებმა ცხადჰყო ვენერასა და დედამიწის შემცველი ელემენტების ერთგვარობა; ასევე დადასტურებულია, რომ დედამიწის და პლანეტების ელემენტების შემადგენლობა ძირითადად იგივეა, რაც მზისა. ეს გარემოება კი ერთხელ კიდევ ადასტურებს პლანეტების, და მათ შორის დედამიწის, მზის ნივთიერებისაგან წარმოშობას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ხანგრძლივ დროს, რაც მზეს გამოეყო პლანეტები (დაახლოებით 2 მილიარდი წელიწადი), ცხადი გახდება, რომ ამ ხნის განმავლობაში პლანეტების ფიზიკური მდგომარეობა და ქიმიური შენაერთების ხასიათი არსებითად შეიცვლებოდა. მზე ქიმიური შენაერთებით დღესაც ძლიერ ღარიბია მისი მაღალი ტემპერატურის გამო, ხოლო რადგანაც პლანეტები მზესთან შედარებით მცირე მოცულობისაა, ამიტომ მათი გაციება შეუდარებლად ადრე მოხდა. ამ გარემოებამ კი თავის მხრივ გამოიწვია ქიმიური შენაერთების წარმოშობა, რასაც მოჰყვა პლანეტის ქერქისა და გულის წარმოქმნა. საგულისხმოა აგრეთვე, რომ პლანეტები დღიდან წარმოშობისა სხვადასხვა მდგომარეობაში მოხვდნენ, რამაც მათს შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა. პლანეტები მზიდან სხვადასხვა მანძილით არიან დაშორებული. ასე, მაგალითად, ზოგი მზესთან უფრო ახლოსაა, ვიდრე დედამიწა და ზოგიც გაცილებით უფრო შორს (დედამიწიდან მზემდე მანძილი დაახლოებით უდრის 150 მილიონ კილომეტრს).

მზესთან ახლო მდებარე პლანეტებს მზის მხურვალე სხივები უხვად ეფინება. მაგალითად, მზის უახლოესი პლანეტის მერკურის ტემპერატურა 400 გრადუსამდე აღწევს (მზის მხარეზე), რის გამო წყალი იქცეოდა ორთქლად და ეს უკანასკნელიც, იმის გამო, რომ პლანეტაზე ატმოსფერო არ არის, მალე დასტოვებდა მზის ზედაპირს. ხოლო მერკურის მეორე ნახევარსფეროში, რომელიც მარად ბნელეთით არის მოცული, სიცივე 150 გრადუსამდე დადის, რაც ჰაერს თხიერ მდგომარეობაში გადაიყვანდა. ამრიგად, მერკური ისევე როგორც დედამიწის თანამგზავრი მთვარე მოკლებულია ჰაერის გარსს. ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს უქონლობა, ძლიერი ტემპერატურა მზისკენ მიმართულ მხარეზე, ხოლო მცირე ტემპერატურა მეორე მხარეზე, — გვაფიქრებინებს, რომ მერკურიზე ორგანული ბუნების არსებობა შეუძლებელია. თუმცა ვენერას ფიზიკური პირობები განსხვავდება მერკურის პირობებისაგან, მაგრამ სიცოცხლის მხრივ ვენერაზედაც დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა უნდა ვივარაუდოთ.

შორეულ პლანეტებზე (იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი) ძლიერი ყინვებია, რომლის მსგავსს დედამიწა არცერთ თავის ნაწილში არასდროს არ განიცდის. მაგალითად, იუპიტერზე სიცივე აღწევს 140 გრადუსს, ხოლო სხვა პლანეტებზე ტემპერატურა კიდევ უფრო დაბალია. ეს ისეთი ტემპერატურაა, რომლის დროსაც არამარტო წყალი გაიყინებოდა, არამედ ჩვენს ატმოსფეროში შემავალი აირებიც სითხეებად გადაიქცეოდა. გარდა ამისა, ეს პლანეტები გარსშემორტყმული არიან ამიაკისა და მეტანისაგან (ჭაობის აირია) შემდგარი საკმაოდ დიდი ატმოსფეროთი, რომელიც ზოგიერთ პლანეტაზე დიდი ყინვების გამო მაგარ მდგომარეობაშია გადასული. ზემოთ თქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორგანიზმების არცერთ სახეობას ამ პლანეტებზე არსებობა არ შეუძლია.

დედამიწის ყველაზე სერიოზულ მეტოქედ სიცოცხლის არსებობის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს ყველასათვის ცნობილი საკმაოდ ცივი მეზობელი მარსი, რომლის მდგომარეობა ყველაზე უფრო უახლოვდება დედამიწის მდგომარეობას, რაც უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს მისი შესწავლის მხრივ. მარსი მზიდან უფრო შორს არის, ვიდრე დედამიწა, და ამიტომ იგი ნაკლებ სითბოს იღებს. გარდა ამისა, მარსი მზის გარშემო შემოვლას 687 დღეს ანდომებს, რის გამოც მარსის წელიწადი დაახლოებით ორჯერ დიდია ჩვენს წელიწადზე. დედამიწა კი, მოძრაობს რა უფრო ჩქარა, თავის ორბიტზე, ეწევა და კიდევაც უსწრებს მარსს. ეს ხდება ყოველ 2 წელიწადსა და 2 თვეში, როდესაც ეს ორი პლანეტი საგრძნობლად უახლოვდება ერთმანეთს. მაგრამ მათი ორბიტების ელიფსიურობის გამო, ეს დაახლოვება ყოველთვის ერთნაირად ხელსაყრელი არ არის. დაკვირვებისათვის დედამიწა და მარსი ყველაზე უფრო ახლო მანძილზე უახლოვდებიან ერთმანეთს ყოველ 15-17 წელიწადში (ეს მანძილი დადის 55 მილიონ კილომეტრამდე) და ამ მოვლენას ეწოდება დიდი პირდაპირი დგომა, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მარსის ფიზიკური ბუნების შესწავლისათვის. უკანასკნელად ასეთ მიახლოვებას ადგილი ჰქონდა 1924 წელს, მორიგი მოახლოვება იქნება 1939 წლის 23 ივლისს.

დაკვირვებებიდან სჩანს, რომ მთელი რიგი ცვლილებები, რომლებსაც მარსზე ადგილი აქვს, დაკავშირებულია წელიწადის სხვადასხვა დროსთან. მაგალითად, ზაფხულის დაწყებისას ნათლად სჩანს მარსზე ჩრდილო პოლუსის გარშემო არსებული თეთრი ქუდის ინტენსიურად შემცირება და მის გარშემო წარმოშობილი შავი ზოლის თანდათანი ზრდა. ამის შესაბამისად იცვლება სამხრეთისაკენ მდებარე მხარის ხედი. პოლუსებზე თეთრი ქუდების ზამთრობით თანდათანობითი ზრდა და ზაფხულობით ჩქარი შემცირება სრული ანალოგიურია დედამიწაზე თოვლის გაჩენისა და დადნობისა. მარსის მასის სიმცირის გამო, სიმძიმის ძალის დაძაბულობა უმნიშვნელოა, რის გამო, მან ვერ შესძლო შეენარჩუნებინა საკმაოდ ძლიერი ჰაერის გარსი. მარსის ატმოსფერო ნაწილობრივ გაფანტულია სივრცეში. ზუსტმა დაკვირვებებმა გამოარკვიეს, რომ მარსზე ატმოსფერო საკმაოდ გაიშვიათებულია და მის ზედაპირზე ატმოსფეროს წნევა არ აღემატება სინდიყის სვეტის 50-60 მილიმეტრს, რისი მსგავსი მდგომარეობა დედამიწის ატმოსფეროს 18 კილომეტრის სიმაღლეზე აქვს. გარდა ამისა, მარსზე ტემპერატურა დედამიწასთან შედარებით საგრძნობლად დაბალია და საკმაოდ დიდ საზღვრებში ირყევა.

რაც შეეხება მარსის ატმოსფეროს შედგენილობას, მასში წყლის ორთქლის და მჟავბადის არსებობა დადასტურებულია, მაგრამ სიცოცხლისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი აირები დედამიწის ატმოსფეროსთან შედარებით მხოლოდ 5-15 პროცენტის რაოდენობით მოიპოვება.

რამდენადაც დედამიწაზე მჟავბადის მთავარ წყაროს მცენარეები წარმოადგენენ, ხოლო მარსის ატმოსფეროში დადასტურებულია მჟავბადის არსებობა, — ეს გარემოება მეცნიერებს აძლევს ერთნაირ საბუთს იგულისხმონ მარსზე მცენარეების არსებობა, ხოლო მცენარეების განვითარება საერთოდ ხელს უწყობს ცხოველების განვითარებას, ასე რომ მარსზე ორგანიული ცხოვრების არსებობის შესაძლებლობა გამორიცხული არაა, მაგრამ გადაჭრით იმის თქმა, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ მარსზე, მეცნიერებას ჯერჯერობით არ შეუძლია.

1939 წ. 23 ივლისს მორიგ დიდ პირდაპირ დგომისას მთელი მსოფლიოს ასტრონომები აწარმოებენ დაკვირვებებს მარსის ბუნებისა და თვისების შესასწავლად, რაც აუცილებლად გააფართოვებს ჩვენს ცოდნას, კერძოდ, პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის პრობლემის შესახებ.

◆

სუეცის არხი

(ცნობა)

როგორც ცნობილია, ფაშისტური იტალია ამჟამად აყენებს მოთხოვნას, რათა, იგი მიწვეულ იქნას სუეცის არხის მმართველობაში მონაწილეობის მისაღებად და შემცირებულ იქნას ტარიფი, რასაც იტალიის გემებს ახდევინებენ სუეცის არხში გავლისათვის. იტალიის ამ მოთხოვნას მხარს უჭერენ გერმანია და იაპონია.

სუეცის არხი გრანდიოზულ ნაგებობას წარმოადგენს. არხის სიგრძე 164 კილომეტრს უდრის, ხოლო სიგანე — 60 მეტრს. არხი აერთებს პორტსაიდს (ხმელთაშუა ზღვაზე) სუეცთან (წითელ ზღვაზე). არხის მშენებლობა დაიწყო 1858 წელს და დამთავრდა 1869 წელს.

სუეცის არხის გათხრის მეოხებით საზღვაო გზა ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის ოკეანეს შორის მნიშვნელოვნად შემცირდა. სუეცის არხის გახსნამდე ევროპიდან ინდოეთის ოკეანეში მიმავალ გემებს უნდა შემოევლოთ მთელი აფრიკისათვის.

გზა ლონდონიდან ბომბეიმდე სუეცის არხის გათხრის შემდეგ 11.347 კილომეტრით შემცირდა.

არხს განაგებს „სუეცის არხის საერთაშორისო საზოგადოება“, რომელსაც პრესა ჩვეულებრივ „სუეცის არხის კომპანიას“ უწოდებს. კომპანიის აქციების 44 პროცენტი (400.000 აქციიდან 176.602 აქცია) ინგლისის მთავრობის ხელშია. აქციების დანარჩენი ნაწილი, უმთავრესად, საფრანგეთის ხელშია. კომპანიას განაგებს კომიტეტი, რომელიც 32 დირექტორისაგან შესდგება. ამ დირექტორთა შორის 21 ფრანგია, 10 ინგლისელი და 1 ჰოლანდიელი. კომპანიის მიერ არხის ექსპლოატაციაზე მიღებული კონცესიის ვადა თავდება 1968 წელს, რის შემდეგაც სუეცის არხი ეგვიპტის მთავრობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს.

პირველ წლებში არხის გაყვანის შემდეგ ტონაჟი იმ გემისა, რომელსაც არხში უნდა გაევლო, არ შეიძლებოდა 4.500 ტონაზე მეტი ყოფილიყო. ამჟამად კი დამატებით სამუშაოთა ჩატარების შემდეგ არხი ატარებს 20.000 ტონაზე მეტი ტონაჟის მქონე გემებს. 1930 წლიდან იმ გემთა წყალშიდი, რომლებიც არხში გადიან, გადიდებულია 9,75 მეტრიდან 10,06 მეტრამდე. არხში გატარებისათვის კომპანია ახდევინებს 7 ფრანკსა და 25 სანტიმს თვითეულ ტონაზე. საშუალოდ გემი არხს 11 საათსა და 14 წუთში გადის.

1870 წელს კომპანიამ ტარიფების გადახდევინებისაგან მიიღო 5.718.756 ფრანკი შემოსავალი, ხოლო 1936 წელს — 857.220.253 ფრანკი.

1913 წელს სუეცის არხით გადაზიდულ იქნა კომერციული ტვირთი 25.776.000 ტონა, ხოლო 1920 წელს 17.047.000 ტონა და 1936 წელს — 25.556.000 ტონა.

პირველი ადგილი სუეცის არხით გადაზიდული ტვირთის რაოდენობის მიხედვით ეკუთვნის ინგლისს, რომლის ხვედრიც 1936 წელს 46 პროცენტს შეადგენდა. ნაოსნობას სუეცის არხში აწესრიგებს საერთაშორისო კონვენცია, რომელსაც ხელი მოაწერეს 1888 წელს შემდეგმა ქვეყნებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა, რუსეთმა, ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიამ, ესპანეთმა, იტალიამ, ჰოლანდიამ და თურქეთმა. ამ კონვენციის თანახმად, არხი ღია უნდა იყოს ყველა სავაჭრო და სამხედრო გემის გასატარებლად, მიუხედავად დროშისა, როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიანობის დროსაც. იმპერიალისტური ომის დროს — 1914-18 წლებში ინგლისი მაინც იძულებული იყო დაეხურა სუეცის არხი თავისუფალი ნაოსნობისათვის ხმელთაშუა ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავების პირატულ მოქმედებათა გამო.

სუეცის არხის მნიშვნელობა ინგლისისა და საფრანგეთისათვის განსაკუთრებით დიდია. ამ არხით ინგლისი დაკავშირებულია თავის დომინიონებთან—ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან, აგრეთვე ბრიტანეთის იმპერიის „მარგალიტთან“ — ინდოეთთან და აფრიკასა და აზიაში მდებარე სხვა თავის კოლონიურ სამფლობელოებთან. ამავე არხზე გადის საფრანგეთის საზღვაო გზები, რომლებიც მას აკავშირებენ თავის აფრიკულ და აზიურ კოლონიებთან (მადაგასკარი, ინდო-ჩინეთი და სხვ.). ამ გზით ინგლისში შეაქვთ მისთვის საჭირო ჯუტისა და ქერელის 90 პროცენტი, 94 პროცენტი კაუჩუკი, 90 პროცენტი ჩაი, 62 პროცენტი ტყვია, აგრეთვე სპილენძი, კალა და მარგანეცი.

ამრიგად, სუეცის არხის გახსნის შედეგად ხმელთაშუა ზღვა საზღვაო გზების მსოფლიო სისტემაში მოექცა და დაუკავშირდა ინდოეთის ოკეანეს, რომელსაც ყოველი მხრიდან გარს არტყია ინგლისის სამფლობელოები. იმ დიდი საიმპერიო გზის დასაცავად, რომელიც სუეცის არხზე გადის, ინგლისმა გაიყვანა რკინიგზა ატბარიდან (პუნქტი, სადაც მდინარე ნილოსი ერთვის მდინარე ატიუსრას) მეწამული ზღვის პირას მდებარე სუაკინამდე—ეს გზა ახალ შემოსავლელ გზას ხსნის ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთისაკენ. ამავე მიზანს ემსახურება საჰაერო ხაზი — კაირო (ეგვიპტე) — ბასრა (ერაყი) — კარაჩი (ინდოეთი) და საავტომობილო გზა და რკინიგზა— ჰაიფა (პალესტინა)—ბაღდადი (ერაყი) —ბასრა.

იტალიისა და გერმანიის მიერ სუეცის არხის მმართველობის ხელში ჩაგდება უდიდეს საფრთხეს შეუქმნიდა ბრიტანეთის იმპერიის თვით არსებობას.

გაზეთ „პოპიულერის“ პროტესტი

პარიზი, 18 დეკემბერი (საქდესი). „პოპიულერი“ აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საფრანგეთის გაზეთებში, რომელთა დიდი უმეტესობა სრულიად უმნიშვნელო გავლენით სარგებლობს, გამოქვეყნებულია მოწოდება პარლამენტისადმი, სადაც მოთხოვნილია კომუნისტური პარტიის აკრძალვა საფრანგეთში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთ მოთხოვნას ჰიტლერის საამებლად და მისი ბრძანებით აყენებენ და რომ ანტიკომუნისტური კამპანია, არსებითად, მიმართულია არა მარტო კომუნისტების წინააღმდეგ, არამედ საერთოდ სოციალისტებისა და დემოკრატიის წინააღმდეგაც.

„კომუნისტების დამარცხებით სურთ დაამარცხონ აგრეთვე სოციალისტები, ხოლო სოციალისტების დამარცხებით სურთ დაამარცხონ დემოკრატია, — სწერს „პოპიულერი“, — მაგრამ ჩვენ ამის ნებას არ მივცემთ, ჩვენ ნებას არ მივცემთ, რომ შეეხონ თავისუფლებას, რომელიც რესპუბლიკური რეჟიმის პირობას წარმოადგენს, ჩვენ ნებას არ მივცემთ ჰიტლერისა და მუსოლინის თაყვანისმცემლებს თავს დაგვატეხონ ასეთი ამბავი“.

წინასწარი აცრა მუცლის ტიფის წინააღმდეგ

მუცლის ტიფი გადამდები სნეულებაა. მას იწვევენ მუცლის ტიფის სპეციალური ბაცილები, რომლებიც აღმოჩენილია ებერტის მიერ. ეს ბაცილები ჩადიან ადამიანის კუჭ-ნაწლავში საჭმელთან ერთად. მუცლის ტიფის მთავარი გამავრცელებლები არიან ავადმყოფები, რომლებიც გამოჰყოფენ მუცლის ტიფის ბაცილებს უმთავრესად ნაწლავებიდან ან იშვიათად შარდით. დაავადება კი ხდება მუცლის ტიფის მიკრობებით ხელების გაჭუჭყიანებით, ვინაიდან ხელებიდან მიკრობები საჭმელთან ერთად გადადიან ჯანმრთელი ადამიანის კუჭ-ნაწლავებში. გარდა ამისა, ამ დაავადების გავრცელებაში დიდ როლს ასრულებენ ბუზები და საჭმლის უსუფთაოდ მომზადება.

მეორე მხრივ, ინგლისელი ექიმის ჯენერის კლასიკური გამოკვლევების მეოხებით, რომელმაც ჯერ კიდევ 1796 წელს აღმოაჩინა აცრა ყვავილის წინააღმდეგ, შემდეგ მეჩნიკოვის, ბერინგის, რუს, რამონის და სხვ. გამოკვლევებით, ცნობილი გახდა ბევრი ინფექციური დაავადებისათვის დამახასიათებელი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ თუ ვინმემ გადაიტანა ერთერთი ინფექციური დაავადება, როგორიცაა: მუცლის ტიფის ყველა სახე, წითელა, ქუნთრუშა, ხუნაგი, ყვავილი, იგი მეორედ ამ ავადმყოფობით აღარ დაავადდება. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ერთერთი აქ ჩამოთვლილი ავადმყოფობით დაავადების დროს ავადმყოფის ორგანიზმში გამომუშავდება განსაკუთრებული დამცველი ნივთიერებანი, რომლებსაც ანტიტოქსინები ეწოდებათ. ისინი უვნებელს ხდიან არა მარტო ავადმყოფის ორგანიზმში მყოფ მიკრობებს, არამედ განკურნების შემდეგაც ისინი, იმყოფებიან რა ორგანიზმში, დიდი ხნის განმავლობაში უვნებელს ხდიან ახლად შესულ მიკრობებს, თუ ადამიანი ხელახლა დაავადდება ასეთი ავადმყოფობით. ხელახლა დაავადებისაგან ორგანიზმის დაცვის ამ უნარს იმუნიტეტი ეწოდება.

ორგანიზმის მიერ იმუნიტეტის გამომუშავების ამ უნარით ისარგებლა მედიცინამ უკვე ხელოვნური გზით ორგანიზმის იმუნიტეტის გამოსამუშავებლად ჯანმრთელი ორგანიზმისათვის კანქვეშ მოკლული მიკრობების აცრით. ასეთ მოკლულ მიკრობებს, რომლებიც იწვევენ ხელოვნურ იმუნიტეტს, ვაქცინები ეწოდებათ. კანქვეშ ვაქცინების შეყვანის შემდეგ ორგანიზმი ისეთივე იმუნიტეტის მქონე ხდება, როგორც ნამდვილი დაავადების დროს, თუმცა ამგვარად გამოწვეული იმუნიტეტი ნაკლებ ხანგრძლივია, ვიდრე ნამდვილი დაავადების დროს.

მუცლის ტიფის წინააღმდეგ აცრას აწარმოებენ 2-3-ჯერ 5-10 დღის გამოშვებით, ორგანიზმის რეაქციის მიხედვით. თვითეული აცრის დროს ორგანიზმში შეყვანილ მიკრობთა რიცხვი 5 მილიარდამდე აღწევს. ამ მოკლული მიკრობების მეოხებით ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტიტოქსინებს, როგორც ნამდვილი დაავადების დროს, ხდება იმუნიტეტიანი და ებრძვის მუცლის ტიფის ყველა იმ მიკრობებს, რომლებიც ახლად შეიჭრებიან ორგანიზმში.

ეს აცრა სრულიად უვნებელია, მხოლოდ ზოგიერთ ადამიანს აცრის შემდეგ რამდენიმე საათის ან დღის შემდეგ აღმოაჩნდება ორგანიზმის რეაქცია — მცირე სისუსტე, თავის ტკივილი და ტემპერატურის 37,5 გრადუსიდან 38 გრადუსამდე აწევა. ჩვეულებრივად ეს მოვლენები 1-2 დღის შემდეგ სრულიად გაივლის ხოლმე. აცრის ძალა ინახება თითქმის ერთი წლის განმავლობაში. ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით ეპიდემიების დროს, საჭიროა განმეორებითი ხელმეორე ვაქცინაცია.

სხვათა შორის, საჭიროა აღინიშნოს, რომ იმ პირებს, რომლებიც დაავადებული არიან თირკმლების ავადმყოფობით, შაქრის ავადმყოფობით, ტუბერკულოზით, გულის ავადმყოფობით და ზოგიერთი ქრონიკული ავადმყოფობით, არ შეიძლება გაუკეთდეთ ასეთი აცრა.

ნ. ზ. უმიკოვი
მედიცინის დოქტორი

ბონეს დეკლარაცია დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 19 დეკემბერი (საქდესი). დღეს დილით დეპუტატთა პალატაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით, სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ბონე, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„ჩვენი საგარეო ურთიერთობის საფუძველია საფრანგეთ-ინგლისის თანხმობა. თუ ამ ორი ქვეყნიდან ერთერთი არაპროვოცირებულ აგრესიას განიცდის, მეორე დაუყოვნებლივ დაეხმარება მას. არაპროვოცირებული აგრესიის შემთხვევაში საფრანგეთის ყველა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები დაუყოვნებლივ გამოყენებული იქნება ინგლისის დასაცავად“.

საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების ხელმოწერის გამო ბონემ სთქვა, რომ „მშვიდობიანობა ევროპაში ნამდვილად უზრუნველყოფილი იქნება, თუ საფრანგეთი და გერმანია შესძლებენ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებას“.

საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობისა და იტალიის „პარლამენტში“ მომხდარი ანტიფრანგული დემონსტრაციების შესახებ ბონემ განაცხადა: „იტალიის მთავრობამ აგრძნობინა საფრანგეთის ელჩს, რომ იგი მხედველობაში არ იღებს ამ დემონსტრაციებს და რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს განხილული, როგორც იტალიის მთავრობის პოლიტიკის გამოხატულება“. შემდეგ ბონემ კვლავ გაიმეორა თავისი განცხადება, რომ საფრანგეთი არასოდეს არ დაუთმობს იტალიას არც ერთ მტკაველ თავის ტერიტორიას და, რომ იტალიის ყოველგვარი ცდა — განახორციელოს ასეთი პრეტენზიები, შეიარაღებულ კონფლიქტს გამოიწვევს“. ამასთანავე ბონემ დააზუსტა, რომ, როცა ის საფრანგეთის ტერიტორიის შესახებ ლაპარაკობს, ის გულისხმობს ტუნისს, სომალის, კორსიკას, ნიცასა და სავოიას.

შეეხო რა ესპანეთის პრობლემას, ბონემ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა „ჩაურევლობის პრინციპების ერთგული რჩება“.

დასასრულ, მან აღნიშნა, რომ „როცა ლაპარაკობენ საფრანგეთის მისწრაფებაზე მშვიდობიანობისადმი, ეს ისე არ უნდა იყოს შეფასებული, როგორც საფრანგეთის სისუსტე“.

საფრანგეთის პრესა სარდინიაში მუსოლინის გამოსვლის შესახებ

პარიზი, 19 დეკემბერი (საქდესი). მუსოლინი, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოსთქვა სარდინიაში, სრულიად არ შეხებია საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

როგორც გაზეთ „პოპიულერისა“ და „ორდრის“ მიმომხილველები აღნიშნავენ, მუსოლინიმ გადასწყვიტა ჯერჯერობით არ გაართულოს მომავალი მოლაპარაკება ჩემბერლენთან რომში.

„მუსოლინის სჭირდება, — სწერს გაბრიელ პერი „ლუმანიტეში“, — თავიდან აიცილოს ისეთი მდგომარეობა, რომელიც აიძულებდა საფრანგეთის მთავრობას მიემართნა ლონდონისათვის, რათა ოფიციალურად დადასტურებულიყო საფრანგეთისა და ინგლისის სოლიდარობა ხმელთაშუა ზღვაზე. მუსოლინის იმედი აქვს, რომ დუმილი კორსიკისა და ტუნისის შესახებ ხელს შეუშლის ამ სოლიდარობის განმტკიცებას“.

„პოპიულერი“ აღნიშნავს, რომ მუსოლინის დუმილი კორსიკისა და ტუნისის შესახებ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იტალია სავსებით ძალაში სტოვებს მოთხოვნებს, რომლებიც იტალიის ფაშიზმმა ფაქტიურად უკვე წაუყენა საფრანგეთს უკანასკნელი ანტიფრანგული დემონსტრაციების დროს იტალიაში.

„სკაპენის ოინები“ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. **სურათზე:** სცენა მეორე აქტიდან (შუაში) სკაპენი — ვ. არეშიძე და არგანტი—ა. ყიასაშვილი. მარცხნივ: ა. ტუსიშვილი გიაცინტას როლში, მარჯვნივ ს. გამრეკელი ოქტავის როლში.

ფოტო ა. კოგანისა

„სკაპენის ოინები“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში

„სკაპენის ოინების“ დადგმას ქართული თეატრის ისტორიაში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ფრანგული კლასიკური კომედიის ფუძემდებლის — მოლიერის ეს ნაწარმოები ათეული წლების განმავლობაში იდგმებოდა რევოლუციამდელი ქართული თეატრის სცენაზე და მასში მთავარ როლს ასრულებდა ქართული თეატრალური ხელოვნების დიდი ოსტატი ვასო აბაშიძე. საერთოდ ჩვენში მოლიერის ეს კომედია ძლიერ პოპულარული იყო. თბილისში იგი პირველად 1875 წლის 10 მაისს დაიდგა და ამის შემდეგ მრავალჯერ იქნა განმეორებული. გაზეთი „დროება“ სწერდა: „სკაპენის ცუღლუტობა“ ნამდვილ სახალხო კომედიათ გადაიქცა ჩვენში. სად არ გინდა რომ არ არდგენდნენ ამ მახვილ კომედიას“.

ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ ამ კომედიის ხელახლა აღდგენა საბჭოთა სცენაზე საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს. საბჭოთა მაყურებლისათვის და კერძოდ საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, რომელსაც მომსახურებას უწევს მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომლის კოლექტივმა მომზადა აღნიშნული სპექტაკლი — მოლიერი უცხო არ არის, კლასიკური შემკვიდრეობიდან იგი აუცილებლად იქცევს საბჭოთა თეატრის ოსტატების ყურადღებას.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა თავისი მორიგი პრემიერით „სკაპენის ოინები“ (დადგმა რესპ. დამს. არტისტის ალ. თაყაიშვილისა) შესძლო ფრანგული სამხიარულო ფარსის პრინციპების სწორი ათვისება. ეს იქიდან სჩანს, რომ სპექტაკლში — როგორც ამას მოლიერის შემოქმედების ბუნება მოითხოვს — ყველაფერი ნავარაუდევია მსახიობისათვის, მთელი ყურადღება და სიმძიმის ცენტრი მასზეა გადატანილი. მსახიობის ხმა, მისი თვითეული ჟესტი, თვითეული ნაბიჯი, გაღიმება, თავის დაქნევა—თვით დრამატურგის მიერვე წინასწარ ნაგულისხმევია და გათვალისწინებულია კომიკური ეფექტის მოსახდენად. ეს მთლიანობა პიესისა კარგად არის დაცული მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლში. ამ წმინდა მხატვრული ამოცანის გადაჭრის გარდა ალ. თაყაიშვილს დიდი ყურადღება მიუქცევია იმისათვის, რომ სპექტაკლში არ დაკარგულიყო მოლიერის დემოკრატიული პათოსი, თუმცა ეს პიესა თავისი იდეური სიღრმით ვერ შეედრება იმავე მოლიერის „ტარტიუფს“ ან „გააზნაურებულ მდაბიოს“. „სკაპენის ოინები“ უფრო ფარსია, ვიდრე ნამდვილი კლასიკური კომედია, მაგრამ მაინც შეიცავს იმ პრინციპებს, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია მოლიერისათვის. სპექტაკლში ჩვენს ყურადღებას იპყრობენ მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათები პედანტი და ამპარტავანი აზნაურებისა, რომელნიც უფრო დასრულებული და კლასიკური სახით გვევლინებიან მოლიერის სხვა კომედიებში. მსახიობები ს. გამრეკელი (ოქტავის როლში) და კ. ხუნდაძე (ლეანდრის როლში) ჩვენს თვალწინ აღადგენენ ფუქსავატი და უუნარო ახალგაზრდა აზნაურების სახეს, რომლებზედაც მოფიქრებით, გონებამახვილობით, ჭკუით და ჰუმანიური გრძნობებით გაცილებით მაღლა დგას მდაბიოთა წრის წარმომადგენელი, ლეანდრის მსახური სკაპენი. სპექტაკლში მთავარ ყურადღებას სკაპენის როლი იპყრობს. ამ ტიპს მეტად ცოცხლად, ხალისიანად ანსახიერებს მსახ. ვ. არეშიძე. მსახიობის ყოველგვარი მოძრაობა, მისი დაუცხრომელი და მოუსვენარი ცუღლუტობა მაყურებლის განუწყვეტელ და მხიარულ სიცილს იწვევს.

კარგად ანსახიერებენ მოხუცი აზნაურების როლებს ა. ყიასაშვილი (არგანტი) და რესპ. დამს. არტისტი ნ. გვარამძე (ჟერონტი). პირველის ხასიათში ხაზგასმული და გამოყოფილია ამპარტავნობა, ხოლო მეორისაში — სიძუნწე. რაც შეეხება ქალთა როლებს, უნდა აღინიშნოს, რომ შემსრულებელთაგან მაყურებელი უფრო მეტს მოელოდა. კერძოდ ეს ითქმის თ. ლოვარდის შესახებ (ზერბინეტას როლში). სახე ადამიანისა, რომელიც საშინელ ტრაგიკულ ბედს განიცდის და შემდეგ უცებ იპოვის მშობლებს, სატრფოსაც დაიბრუნებს — ვერ არის ფსიქოლოგიურად გახსნილი მის თამაშში. ამ მხრივ იგი ზერელობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ვერ ახდენს მაინც და მაინც კარგ შთაბეჭდილებას ნერინას ბღავილი მესამე აქტში. ა. ტუსიშვილი შედარებით უფრო უშუალოდ და სადად ასრულებს გიაცინტას როლს.

სკაპენისადმი თავისი ხასიათით დაპირისპირებულია სილვესტრი. ამ როლს უბრალოდ და კარგად ასრულებს ვ. ძაგნიძე.

სპექტაკლში დაცულია იმ დროის საფრანგეთის კოლორიტი, ჩაცმულობის, ყოფაქცევის წესები და ცერემონიები. ეს პრემიერა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობების კულტურისა და შემოქმედებითი წარმატებების ნათელი მაჩვენებელია.

გ. ნატროშვილი

მწერალთა კლუბის გახსნა

დღეს, საღამოს 9 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შენობაში (მაჩაბლის ქ. № 13) მოხდება მწერალთა კლუბის გახსნა.

კლუბის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართება საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, ორდენოსანი პოეტი ალიო მაშაშვილი. მწერალი-დრამატურგი შალვა დადიანი გამოვა სიტყვით — „სტალინური კონსტიტუცია და ქართული ხელოვნება“.

მხატვრულ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: ი. გრიშაშვილი, ალ. გომიაშვილი, კარლო კალაძე, ალიო მაშაშვილი, ილო მოსაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი; ოპერისა და დრამის მსახიობები: დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, აკ. ვასაძე, ს. ინაშვილი, მ. ნაკაშიძე, ნ. ცომაია, თ. ჭავჭავაძე; მწერალი კ. გამსახურდია წაიკითხავს ნაწყვეტს ახალი რომანიდან; კომპოზიტორი ვ. გოკიელი როიალზე შეასრულებს ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს; მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, ს. ზაქარიაძე და მერი ქორელი წარმოადგენენ სცენას ვ. გაბესკირიას ახალი პიესიდან „მათი ამბავი“. მსახიობები შ. ღამბაშიძე და კ. კვანტალიანი — დიალოგი პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებიდან“.

კლუბის მცირე დარბაზში მოწყობილი იქნება საქართველოს საბჭოთა მხატვრების სურათების გამოფენა.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

ლენინაკანის თეატრის 10 წლისთავი

ერევანი, 18 დეკემბერი (საქდესი). გუშინ საბჭოთა სომხეთის მშრომელებმა აღნიშნეს სომხეთის სსრ ლენინაკანის მეორე სახელმწიფო თეატრის 10 წლისთავი.

10 წლის განმავლობაში თეატრმა დადგა 59 პიესა, აქედან 42 პიესა საბჭოთა ავტორებისა. დიდის წარმატებით სარგებლობს სომხეთის დრამატურგიის კლასიკოსის სუნდუკიანის პიესა „კიდევ ერთი მსხვერპლი“, ახალგაზრდა ნიჭიერი დრამატურგის კოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი“, ახალგაზრდა დრამატურგის მიქაელიანის „გოში“ და სხვ.

თეატრის წარმოდგენებს დაესწრო 600 ათასზე მეტი კაცი.

ქირურგთა სრულიად-საკავშირო ყრილობაზე

27 დეკემბერს ქალ. ხარკოვში იხსნება ქირურგთა სრულიად-საკავშირო მე-24 ყრილობა. საქართველოს ჯანსახკომი და საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ქირურგიული სექცია ამ ყრილობაზე ჰგზავნიან 30 დელეგატს. (საქდესი).

დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის კონცერტები ერევანში

გუნდი, ორდენოსან კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით, სომხეთს პირველად ესტუმრა.

გუნდის ორივე კონცერტს, 17 და 18 დეკემბერს, აუარებელი ხალხი დაესწრო. დიდი ინტერესით მოისმინეს ჩვენი ქვეყნის ხალხური სიმღერები და კომპოზიტორების ნაწარმოებნი. ხალხის მოთხოვნით გუნდმა გაიმეორა საჩონგურო სიმღერები: „სულიკო“, „საკოლმეურნეო“ და „ჭიჭეტურა“. გუნდს გაამეორებინეს აგრეთვე ორდენოსან კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილის მიერ ამ გუნდისათვის სამ ხმაზე დაწყობილი ყარაშვილის სიმღერა „სამშობლო“.

კომპოზიტორების ნაწარმოებთაგან წარმატება ხვდათ ორდენოსან კომპოზიტორის კილაძის „სიმღერას სტალინზე“, კოკელიძის „სიმღერას სამშობლოზე“ და კომკავშირულ საზეიმო სიმღერას და ვ. ცაგარეიშვილის „ლაშქრულს“.

დიდი წარმატებით შეასრულეს ცეკვები გუნდის მოცეკვავეებმა.

ლ. ვ.

◆

ქვანახშირი და მარგანეცი

19 დეკემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%%
ტყიბული	1012	957	94,6
ტყვარჩელი	731	541	74
ჭიათურა	5530	4704	85

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სახელმწიფო [illegible]

მოგებათა მეოთხე ტირაჟის საცნობო ცხრილი

ტირაჟი სწარმოებდა 1938 წლის 11 და 12 დეკემბერს ქ. რიაზანში. სერიებისა და ობლიგაციების იმ ნომრებმა, რომლებიც ცხრილშია აღნიშნული, მოიგეს სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის წაუგებელი გამოშვების ორმოცდაცამეტსავე თანრიგში. მოგებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულება შედის იმ მოგების თანხაში, რომელიც მას ხვდა.

ცხრილში აღნიშნულია ასმანეთიანი ობლიგაციების მოგება. 50, 25 და 10-მანეთიან ობლიგაციაზე გაიცემა 100-მანეთიანი ობლიგაციის მოგების სათანადო ნაწილი (½, ¼ ან 1/10). 500 და 200-მანეთიან ობლიგაციებს აქვთ შესაბამისად ერთი სერიის ობლიგაციების ხუთი ან ორი ნომერი და ითვლებიან როგორც ხუთი ან ორი ცალკეული ასმანეთიანი ობლიგაცია, თუ ამ ობლიგაციების ერთერთ ნომერს ხვდა მოგება 3000, 1000 ან 500 მანეთის რაოდენობით, მაშინ იმავე ობლიგაციის დანარჩენი ნომრები იგებენ 150 მანეთს თვითეული. თუ სერიას ხვდა მოგება 200 ან 150 მანეთის რაოდენობით, მაშინ ამ სერიის 500 და 200-მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა შესაბამისად ხუთი ან ორი მოგება 200 ან 150 მანეთის რაოდენობით.

მოგება გაიცემა შემნახველი სალაროების მიერ ოფიციალური ცხრილების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: „პრავდაში“, „სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების იზვესტიაში“, „ტრუდში“ და „ფინანსოვაია გაზეტაში“, აგრეთვე სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარსამმართველოს მიერ გამოცემული ოფიციალური ცხრილების მიხედვით.

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მოგებათა მეოთხე ტირაჟში მოგება ხვდა სესხის წაუგებელი გამოშვების ორმოცდაცამეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს (მოგების თანხაში შედის ობლიგაციის ნომინალური ღირებულება).

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
20410	1—50	150	30279	49*)	500
20542	1—50	200	30548	20*)	500
20618	42*)	500	31024	1—50	200
20799	1—50	150	31813	1—50	150
21198	1—50	150	32081	1—50	150
21554	1—50	200	32345	1—50	200
21716	39*)	500	32712	1—50	150
21742	13*)	500	32732	13*)	500
21747	43*)	500	33043	1—50	200
21759	1—50	150	33045	48*)	500
21775	02*)	1000	33137	1—50	200
21780	06*)	500	33176	1—50	200
21841	1—50	150	33285	1—50	200
21844	1—50	200	33428	1—50	150
21977	1—50	150	33454	33*)	1000
22297	20*)	500	33524	1—50	200
22870	47*)	1000	33649	1—50	150
22880	24*)	500	34007	50*)	500
22889	34*)	500	34734	1—50	150
22898	1—50	150	35000	15*)	500
23258	40*)	500	35410	[illegible]	500
23725	42*)	500	35481	37*)	500
23940	1—50	200	35564	05*)	1000
24035	20*)	500	35763	07*)	500
24396	1—50	150	35767	42*)	500
24983	1—50	150	35849	1—50	200
25027	45*)	500	36001	31*)	500
25134	26*)	500	36178	25*)	500
25168	35*)	500	36331	1—50	150
25781	22*)	500	36413	38*)	500
25816	1—50	150	36634	12*)	500
26155	16*)	500	36715	1—50	150
26672	1—50	150	36776	1—50	150
26680	40*)	500	36929	1—50	200
26800	48*)	500	37237	1—50	200
26883	08*)	500	37406	1—50	200
27308	36*)	500	37533	1—50	150
27466	1—50	150	37690	39*)	500
[illegible]	49*)	500	37979	1—50	200
28073	26*)	3000	38023	28*)	500
[illegible]	23*)	500	38399	37*)	500
28210	15*)	500	38446	21*)	500
28326	19*)	500	38641	39*)	1000
28786	1—50	150	38743	16*)	500
28869	15*)	500	38934	01*)	500
28931	1—50	200	38935	1—50	200
29108	23*)	500	38964	18*)	500
29200	34*)	500	39132	1—50	150
29226	33*)	500	39312	1—50	200
29529	23*)	500			
29985	1—50	200			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 150 მანეთი თვითეულმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

21/XII	წარმოდგენა 77 **უდანაშაულოდ დამნაშავენი**
22/XII	წარმოდგენა 78 **ს უ ლ ე ლ ი**
23/XII	წარმოდგენა 79 **ფოლადაური**

მორიგი პრემიერა
მ. პოგოდინის—**თოფიანი კაცი**

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

21/XII	**კოლმეურნის ქორწინება**
22/XII	**კოლმეურნის ქორწინება**
23/XII	**მ ე რ ი**

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

21/XII	22/XII	23/XII
მუდმ. ადგ. ტალ. № 53 აბ. № 7 **ევგენი ონეგინი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 54 აბ. № 1 **ესმერალდა**	მუდმ. ადგ. ტალ. № 55 **წყნარი დონი**

დასაწყისი 8 საათზე
აბონენტები, რომლებიც არ შემოიტანენ მესამე გადასახადს თავისი წარმოდგენის დღის 3 საათამდე, ჰკარგავენ უფლებას თავის ადგილებზე.

ფეიქრული და ტყავის თასმების ყველა მომხმარებლის საყურადღებოდ

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფეიქრული და ტყავის თასმებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მომარაგებას ახორციელებს **მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მომარაგების მთავარ სამმართველოს თბილისის რაიტექკანტორა.**

თასმების 1939 წლისათვის არსებული კონტინგენტის დროზე განაწილების მიზნით, ყველა მომხმარებელმა **არა უგვიანეს 1938 წლის 25 დეკემბრისა უნდა წარმოადგინოს დაზუსტებული სპეციფიკაციები მისთვის საჭირო თასმებზე.**

ტყავის თასმები გამოიყოფა მცირე რაოდენობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფეიქრული თასმების გამოყენება დაუშვებელია წარმოების ტექნიკური პირობების გამო.

მომარაგების მთავარ სამმართველოს
თბილისის რაიტექკანტორა
1405 ჩელუსკინელთა ქ. № 14.

საქართველოს სახ. კინომრეწველობის და კინოფიკაციის ტრესტი.

სახკინმრეწვის დასკვნითი ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი ათას მანეთებში
1	ძირითადი საშუალებანი	9.724
2	დადგმითი ინვენტარი	371
3	ხელეული და მასალები	1.423
4	დაუმთავრებელი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატი	2.901
5	პროდუქცია და საქონელი	8.469
6	გასული ქონება, გამოყოფ ლიკვიდ. წესით	14
7	საქონელი, გაგზავნილი მყიდველებ.	214
8	საქონელი, მყიდველების მიერ გამოუყიდველი	4
9	ფულადი საშუალებანი	829
10	ანგარიშსწორებანი	1.523
11	ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშით	179
12	გადახარჯვა სპეცფონდის ანგარიშზე	8
13	კაპიტ. მშენებლ. დაფინანსება საკავშირო სახკომსაბჭოს 1935 წ. 19/IX-ის დადგენილებით	218
14	განყენებული საშუალებანი	45
15	ანგარიშსწორება კაპიტ. მშენებლობასთან ძირითადი საშუალებებით	2
16	მიმდინარე წლის ზარალი	2.223
	ბალანსი	28.147

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი ათას მანეთებში
1	ფონდები	27.219
2	რეზერვები და მოსალოდნელი გადასახადები	161
3	მრეგულირებული მუხლები	20
4	გრძელვადიანი სესხები	3
5	ანგარიშსწორებანი	743
6	ანგარიშსწორება კაპიტალ. მშენებლობასთან გასანაღდებელი ოპერაციებით	1
	ბალანსი	28.147

მოგება-ზარალის ანგარიში

1.	ზარალი რეალიზაციიდან	1.923
2.	ზარალი უიმედო დებიტორ. ჩამოწ. გამო	58
3.	ზარალი კონსერვირებული სურათების ჩამოწერის გამო	721
4.	ზარალი წარსული წლების	80
5.	საეჭვო ვალების რეზერვის ანარიცხები	114
6.	ანარიცხები დირექტორის ფონდის ან-ზე.	20
	ბალანსი	2.916

1.	შემოსავალი კინო-თეატრ. ექსპლოატაც.	541
2.	შემოსავალი ვადაგადაცილ. კრედიტორების დავალიანების ჩამოწერით	53
3.	შემოსავალი გასული წლების	37
4.	გამოუყენებელი საეჭვო ვალების რეზერვი	62
5.	მიმდ. წლის ზარალი	2.223
	ბალანსი	2.916

ბალანსი და ზარალ-მოგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საბალანსო კომისიის მიერ 1938 წ. 20 სექტემბერს.

ტრესტის დირექტორი **ა. გიგოშვილი.** საფინ.-საანგ. განყ. უფროსი **ნ. ჩიქოვანი.** 1397

ი. ჭავჭავაძის სახელობ. საშუალო სკოლასთან

(კამოს ქ. № 59)

1939 წ. 15 იანვრიდან იწარმოებს საექსტერნო გამოცდები საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობაზე.

განცხადების მიღება 1-დან 10 იანვრამდე. 17840

საზ. მუსიკალური კომედიის თეატრის ადგილკომი, მსახიობები და ტექპერსონალი იუწყებიან ამავე თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგის მიხეილ ჭიაურელის დედის

ს ო ფ ი ო ს

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 დეკემბერს. გამოსვენება კლარა ცეტკინის, 53.
22297

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Ⴁ—1438